

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში

27 აგვისტო - 30 სექტემბერი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში

27 აგვისტო - 30 სექტემბერი

თბილისი
2024

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, დიდი ბრიტანეთის საელჩოსა და „ახალი დემოკრატიის ფონდის“ მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და მისი შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

ანგარიშის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
ნანუკა ყრუაშვილი

ანგარიშის ავტორები: ნიკოლოზ ოდიკაძე
მათე ბუბაშვილი
თამარ ხუხია
გიორგი ალავერდაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

მეთოდოლოგია 5

მოკლე შეჯამება 6

1. ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილებები სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ 8

2. საარჩევნო ადმინისტრაცია 13

2.1. საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება 13

2.2. საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება 15

2.3. ცესკოს ბრიფინგი ოპოზიციური პარტიის საჩივრებთან დაკავშირებით 17

2.4. ცესკოს თავმჯდომარის მიერ მედიასთან თანამშრომლობის გადახედვის დაანონსება 18

2.5. ცესკოს თანამშრომლებთან დაკავშირებული ინციდენტი 19

2.6. საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნა 20

3. ამომრჩევლის მოსყიდვა და საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენება 24

3.1. სტუდენტების მობილიზება „ქართული ოცნების“ საარჩევნო ღონისძიებებზე 24

3.2. „ოცნების ქალაქი“ 25

3.3. საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების მობილიზება ოზურგეთში, მმართველი პარტიის საარჩევნო ღონისძიებაზე 26

3.4. რუსთავში „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლო შემთხვევები 27

3.5. რუსთავის ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ თანამშრომლის მოწოდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისადმი 29

3.6. „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის“ მიერ „ქართული ოცნების“ დელეგატობის კანდიდატის მხარდამჭერი პოსტის გაზიარება 30

3.7. თელავის მერის მოადგილის მხრიდან აგიტაცია სამუშაო საათების განმავლობაში 31

4. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები/აგიტაციაში ხელშეშლა 32

4.1. ფიზიკური ძალადობის შემთხვევები 32

4.2. წინასაარჩევნო კამპანიასა და სამოქალაქო აქტივიზმში ხელის შეშლა 35
4.3. სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით სხვისი ნივთის დაზიანება 36
4.4. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დაკავება 37
5. სააგიტაციო მასალის დაზიანება 39
6. საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებლების სამსახურიდან გათავისუფლება სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით 40
7. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები 44
7.1. წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ რეკლამაში სიძულვილის ენის გამოყენება ლგბტქი+ ადამიანების მიმართ 44
7.2. საარჩევნო რეკლამის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება 48
8. მონიტორინგის პროცესში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა 51

მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) გრძელვადიანმა სადამკვირვებლო მისიამ (LTO) ფუნქციონირება 2024 წლის აპრილიდან დაიწყო. გრძელვადიანი დაკვირვების ძირითადი მიზანი არჩევნების თავისუფალ, თანასწორ და კონკურენტულ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა. ამ მიზნის მისაღწევად საიას ამოცანაა საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის ხელშეწყობა საარჩევნო დავების წარმოების/მონიტორინგის გზით და საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ. საია დაფუძნებიდანვე აქტიურად არის ჩართული არჩევნების მონიტორინგის პროცესში. მუდმივად და მკაცრად იცავს ნეიტრალურ პოზიციას და საქმიანობისას კანონის უზენაესობის, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, გამჭვირვალობის პრინციპებით მოქმედებს. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული ოფისის მეშვეობით თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება. წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2024 წლის 27 აგვისტოდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდში გამოვლენილ დარღვევებს ან ისეთ ქმედებებს, რომლებიც, თავისთავად, კანონდარღვევა არ არის, თუმცა ცუდი პრაქტიკაა და ზიანს აყენებს ჯანსაღი წინასაარჩევნო გარემოს შექმნას. ანგარიშში ასევე ასახულია ისეთ პროცესები, რომლებიც შეიძლება სცდებოდეს საანგარიშო პერიოდს, თუმცა, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებით გავლენას ახდენს საარჩევნო საკანონმდებლო ბაზისა თუ არჩევნებისწინა პოლიტიკური კონტექსტის ფორმირებაზე.

მოკლე შეჯამება

საქართველოს პრეზიდენტმა, კონსტიტუციის და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, 2024 წლის 27 აგვისტოს, არჩევნებამდე 60 დღით ადრე, გამოსცა განკარგულება 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს[1] არჩევნების დანიშვნის შესახებ.[2] იმავე დღეს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) განკარგულებით დანიშნა სამტრედიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნებიც,[3] რომლის ჩატარების თარიღად ასევე 26 ოქტომბერი განისაზღვრა. დაიწყო ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი და, შესაბამისად, ამოქმედდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური წესები.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა წინასაარჩევნო კამპანიისა და სამოქალაქო აქტივიზმისთვის დაბრკოლების შექმნის 2 ფაქტი. საიას გრძელვადიანმა სადამკვირვებლო მისიამ აღრიცხა ფიზიკური ძალადობის - 4, სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით სხვისი ნივთის დაზიანების - 2 და სააგიტაციო მასალის დაზიანების 2 შემთხვევა. მათ უმეტესობას შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან არ მოჰყოლია მყისიერი და მიუკერძოებელი რეაგირება, რაც ეფექტიან გამოძიებასა და, საჭიროების შემთხვევაში, დამნაშავისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაში უნდა გამოიხატებოდეს.

ასევე, პრობლემური იყო მმართველი პარტიის მხრიდან ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები. საიამ შესაძლო მოსყიდვის 1 და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 6 სავარაუდო ფაქტი აღრიცხა. ზოგ შემთხვევაში იშლებოდა ზღვარი პარტიასა და სახელმწიფოს შორის, რასაც მმართველი პარტია ამომრჩევლის ნებაზე მანიპულაციისთვის იყენებდა.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით გათავისუფლების 3 შემთხვევა.

---

[1] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მიხედვით, აჭარის უმაღლესი საბჭო შედგება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 21 დეპუტატისგან. იხ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

[2] „პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულებები საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების 2024 წლის 26 ოქტომბერს დანიშვნის შესახებ“, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://president.ge/index.php?m=209&news_id=2263&lng=geo, განახლებულია: 10.10.2024.

[3] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №75/2024 განკარგულება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი თვითმმართველი თემების - სამტრედიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebrivi-aqtebi/gankargulebebi/singleview/11033687-gankarguleba-752024-27082024, განახლებულია: 10.10.2024.

საანგარიშო პერიოდში საიამ შეისწავლა სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპისა“ და სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიმართ ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ისინი შეაფასა, როგორც დაუსაბუთებელი. ამ შემთხვევაში, ბიუროს მიზანი იყო სამოქალაქო აქტივიზმის, ასევე სადამკვირვებლო ორგანიზაციის საქმიანობის შეფერხება და დისკრედიტაცია.

საიამ ასევე ნეგატიურად შეაფასა საარჩევნო ადმინისტრაციის განცხადება, რომლითაც საჩივრები წინმსწრებად, ცესკოს სხდომაზე განხილვამდე დახასიათდა, როგორც ერთგვაროვანი და უსაფუძვლო. გარდა ამისა, ორგანიზაციამ ადმინისტრაციული ორგანოსთვის შეუფერებლად მიიჩნია ცესკოს მხრიდან ტელევიზიებთან თანამშრომლობის გადახედვის დაანონსებაც.

საია თვალყურს ადევნებდა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესს. ნიშანდობლივია, რომ 2021 წლის საერთო არჩევნებთან შედარებით, საოლქო საარჩევნო კომისიების უპარტიო წევრთა კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა, დაახლოებით, 30%-ით შემცირდა. 219 ვაკანტურ პოზიციაზე მაშინ 377 მსურველი დარეგისტრირდა.

საიას შეფასებით, იმ მოცემულობაში, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს არ გამოუჩენია შესაბამისი პოლიტიკური ნება საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნის მიზნით დროებითი საკონსულო დაწესებულებების შექმნის თაობაზე, ცესკო ვალდებული იყო, ემოქმედა პროაქტიულად და, ამომრჩევლის ინტერესებიდან გამომდინარე, სამინისტროსთვის უბნების გახსნის მოთხოვნით მიემართა. ქვეყნის ფარგლებს გარეთ უბნების გახსნის საჭიროებაზე ცესკოს არაერთხელ მიაწოდეს ინფორმაცია როგორც თავად მოქალაქეებმა, ასევე საქართველოს პრეზიდენტმა და პროცესში ჩართულმა სხვა მხარეებმა.

საიამ საანგარიშო პერიოდში უარყოფითად შეაფასა კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2 გადაწყვეტილება. მათგან ერთი შეეხებოდა საარჩევნო პოლიტიკურ რეკლამაში სიძულვილის ენის გამოყენებას, ხოლო მეორე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პოლიტიკური რეკლამების სატელევიზიო სივრცეში განთავსების აკრძალვას. ორგანიზაციის აზრით, პრობლემური იყო როგორც ნორმების ინტერპრეტაცია, ასევე ფაქტების გამოკვლევისას გამოვლენილი ზედაპირულობა.

გარდა ამისა, საია აწარმოებს სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის წერილებზე საჯარო უწყებების რეაგირების მონიტორინგს. მისიის განმავლობაში ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით სხვადასხვა საჯარო უწყებას მიმართა 148-ჯერ. 43 შემთხვევაში ორგანიზაციას პასუხი არ მიუღია, ხოლო 23 წერილზე პასუხი არასრულყოფილი იყო. საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა აფერხებს საიას სადამკვირვებლო მისიას, განახორციელოს წინასაარჩევნო პროცესების ეფექტიანი მონიტორინგი.

1. ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილებები სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ

„აირჩიე ევროპის“ საქმე

2024 წლის 6 სექტემბერს ანტიკორუფციულმა ბიურომ (ბიურო) თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპის“[4] და მისი დამფუძნებლების საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციების, ასევე, აქტივობებთან დაკავშირებული ინფორმაციის (მათ შორის, ჩატარებული ღონისძიებების ხარჯები, ვიდეორგოლების დამზადებისა და გავრცელების შესახებ ინფორმაცია) გამოთხოვნის თაობაზე. სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა და მიიღო ბრძანება (საქმე №3/6672-24) მისი დაკმაყოფილების შესახებ. ორგანიზაციამ ბრძანება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა მან პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.[5]

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ანტიკორუფციული ბიურო თავის შუამდგომლობაში არ განმარტავს, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული რომელი სუბიექტის მიმართ დაწყებული მონიტორინგის ფარგლებში ითხოვს ინფორმაციას ორგანიზაციისგან.

ანტიკორუფციული ბიუროს მანდატს განეკუთვნება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი, ასევე, ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვა სათანადო ღონისძიებები.[6] ამ მიზნით, ბიურო აღჭურვილია უფლებამოსილებით, ნებისმიერი პირისგან გამოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა.[7] მან უნდა მიუთითოს ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველი, მიზანი, მოცულობა და შესაბამისი პერიოდი.[8]

---

[4] სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპა“ არის რეგისტრირებული ა(ა)იპ, რომლის მიზანია პროდასავლური ამომრჩევლების მობილიზება. მისი საქმიანობა მოიცავს ქვეყნის მასშტაბით მოქალაქეებსა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან მუშაობას. იხ. „ახალი სამოქალაქო მოძრაობის „აირჩიე ევროპა“ პრეზენტაციას პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დაესწრო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 11 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/615971, განახლებულია: 13.09.2024; „აირჩიე ევროპა“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად 2024 წლის 26 ივლისს დარეგისტრირდა. იხ. საჯარო რეესტრის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://enreg.reestri.gov.ge.

[5] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძანება №330350024009967733.

[6] „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20[15] მუხლი, პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

[7] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-2[1] პუნქტი.

[8] იქვე, 34[1]-ე მუხლის, მე-4 პუნქტი.

„განცხადებული საარჩევნო მიზანი“ ის ფაქტობრივი გარემოებაა, როდესაც იკვეთება, არჩევნებში მონაწილეობის გზით, კონკრეტული პირის ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი. განცხადება გაკეთებული უნდა იყოს საჯაროდ და მიმართული უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ.[9] აღსანიშნავია, რომ ბიუროს შუამდგომლობას არ ერთვის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ჩამოთვლილთაგან რომელიმე სუბიექტის მიმართ მონიტორინგის დაწყების პროცესს. ამის ნაცვლად, ანტიკორუფციული ბიურო „აირჩიე ევროპის“ საქმიანობას უწოდებს „ისეთ წინასაარჩევნო პოლიტიკურ მოქმედებებს, რომლებიც ემსახურება კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისგან თავის შეკავების მიზანს“.[10] შესაბამისად, შემოწირულებებთან დაკავშირებით მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები განავრცო მის აქტივობებზე.

გარდა ამისა, ბიურომ დამფუძნებლების შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა 2024 წლის 1-ლი იანვრიდან 26 ივლისის ჩათვლით პერიოდზე. ამ დროს „აირჩიე ევროპა“ არც მოძრაობად იყო ჩამოყალიბებული და არც ა(ა)იპ-ის ფორმით ფუნქციონირებდა.[11] არც ბიურომ და არც საქალაქო სასამართლომ არ დაასაბუთა, ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვნის რა საჭიროება არსებობდა და რა მიზანი შეიძლება ჰქონოდა მას მონიტორინგისთვის. ასევე, ბუნდოვანია ზღვარი სამოქალაქო მოძრაობას, როგორც იურიდიულ პირსა და მის დამფუძნებლებს შორის.

ამასთანავე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, კანონით დაშვებული შემოსავლების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ფინანსური მონიტორინგის უფლებამოსილება არ უნდა იყოს სამოქალაქო აქტივიზმისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტი.[12] შესაბამისად, სადავო შემთხვევაში, სასამართლოს საქმე უნდა განეხილა გამოხატვის თავისუფლების კონტექსტშიც. მიუხედავად ამისა, შესწავლილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, არც ანტიკორუფციულ ბიუროს და არც სასამართლოს არ შეუფასებია, რატომ არ ვრცელდებოდა სამოქალაქო აქტივიზმისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ამკრძალავი წესი სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპის“ და მასთან დაკავშირებული პირების აქტივობებზე. ანტიკორუფციული ბიუროს მხრიდან შესაძლო თვითნებობის ერთგვარი დამზღვევი მექანიზმია კანონმდებლის მიერ სასამართლოსადმი სავალდებულო წესით მიმართვის შემოღება, რაც სასამართლოს პირდაპირ ავალდებულებს, საქმე ამ მიმართულებით შეაფასოს.

---

[9] იქვე, მე-7[1] მუხლი.

[10] იქვე, 25-ე მუხლის, მე-4 პუნქტი.

[11] სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპა“ არის რეგისტრირებული ა(ა)იპ, რომლის მიზანია პროდასავლური ამომრჩევლების მობილიზება. მისი საქმიანობა მოიცავს ქვეყნის მასშტაბით მოქალაქეებსა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან მუშაობას. იხ. „ახალი სამოქალაქო მოძრაობის „აირჩიე ევროპა“ პრეზენტაციას პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დაესწრო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 11 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/615971, განახლებულია: 9.10.2024.

[12] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

შესაბამისად, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ შუამდგომლობის არასრულყოფილი დასაბუთების პირობებში, რამაც შეიძლება ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობის შემცირება გამოიწვიოს, მით უფრო მაშინ, როდესაც ეს ორგანო ინსტიტუციურად დამოუკიდებელი არ არის, სასამართლოს ენიჭება უმთავრესი როლი, შეასრულოს ბალანსისა და უფლებების დაცვის გარანტის ფუნქცია და უზრუნველყოს საქმის სამართლიანი, მიუკერძოებელი განხილვა. თუმცა, სასამართლომ ეს ვერ მოახერხა, რადგან შუამდგომლობა სამართლებრივად არასწორად შეაფასა და გადაწყვეტილება ამავე არასწორ შეფასებას დააყრდნო.

საქალაქო სასამართლოს 6 სექტემბრის ზემოაღნიშნული ბრძანება 12 სექტემბერს „აირჩიე ევროპის“ დამფუძნებლებმა - ნიკოლოზ შურღაიამ, ივანე ჭყონიამ და გიორგი რუხაძემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს და მისი გაუქმება მოითხოვეს, თუმცა სასამართლომ ბრძანება ძალაში დატოვა. სააპელაციო სასამართლო ასევე გაცდა კანონმდებლობის ფარგლებს და საფუძველი ჩაუყარა კანონის მუხლის სახიფათო განმარტებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით,

„განცხადებული საარჩევნო მიზანი“ უნდა განიმარტოს „ლოგიკურ ჭრილში, სისტემურად და არა სიტყვა-სიტყვითი გაგებით“.[13] სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოძრაობის წევრთა მიერ მედიასივრცესა თუ საჯარო შეხვედრებზე, მათ შორის, მოძრაობის პრეზენტაციაზე გაკეთებული განცხადებები მიმართულია „მოსახლეობის ფართო ფენებში კონკრეტული პოლიტიკური პარტიის დამარცხების ინტერესის და იმედის გაღვიძებისკენ“, რაც ერთი პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ განხორციელებული აშკარა წინასაარჩევნო პოლიტიკური მოქმედებებია.[14] აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოს არ უმსჯელია, ჰქონდა თუ არა მოძრაობას ხელისუფლებაში მოსვლის განცხადებული სურვილი, რაც „განცხადებული მიზნის მქონე“ სუბიექტის განმარტების ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაწილია.

კანონის ნორმის სწორედ ეს ინტერპრეტაცია დაუდო საფუძვლად ანტიკორუფციულმა ბიურომ 24 სექტემბრის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპა“ გამოცხადდა „განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე“ სუბიექტად და მასზე და მის დამფუძნებლებზე გავრცელდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 თავით დადგენილი შეზღუდვები.[15]

[13] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის ბრძანება საქმეზე №3ბ/2528-24.
[14] იქვე.
[15] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №03/029-24, ხელმისაწვდომია: https://acb.gov.ge/ka/news/antikoruftsiuli-biuros-ufrosis-2024-tslis-24-sektembris-gadatsqvetileba-029.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ და ეკა გიგაურის საქმე

2024 წლის 24 სექტემბრის მეორე გადაწყვეტილებით, ანტიკორუფციულმა ბიურომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 თავით დადგენილი შეზღუდვები ასევე გაავრცელა არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ და მის აღმასრულებელ დირექტორზე ეკა გიგაურზე.[16]

ბიუროს დასაბუთებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და მისი აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური გამოირჩეოდნენ მმართველი პარტიის საწინააღმდეგო კამპანიით. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას და მის დირექტორს არ ჰქონდათ ხელისუფლებაში მოსვლის განცხადებული სურვილი, ბიურომ „აირჩიე ევროპის“ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით იხელმძღვანელა და „განცხადებული საარჩევნო მიზანი“ განმარტა თვითნებურად. სწორედ ამ განმარტების საფუძველზე, ბიურომ ორგანიზაციას და მის აღმასრულებელ დირექტორს მიანიჭა „განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის“ სტატუსი, შესაბამისად, მოსთხოვა ანტიკორუფციული ბიუროს ბაზაში რეგისტრაცია და ფინანსური დეკლარაციების წარდგენა იმავე წესით, როგორითაც მოეთხოვებათ პოლიტიკურ პარტიებს. 2024 წლის 26 სექტემბერს ორგანიზაციამ ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა და მისი ბათილად ცნობა მოითხოვა, ხოლო შუამდგომლობით, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, მისი მოქმედების შეჩერების საკითხი დააყენა.[17] თუმცა, საქალაქო სასამართლომ თავისი განჩინებით არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი მასალების არადამაჯერებლობის მოტივით.[18] ორგანიზაციამ განაცხადა, რომ, ამ გადაწყვეტილების შედეგად, ის ვეღარ გააგრძელებდა საკუთარი სახელით არჩევნებზე დაკვირვებას.[19]

2024 წლის 1-ელ ოქტომბერს ამ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ანტიკორუფციული ბიუროს მოუწოდა, ესარგებლა საკუთარი სამართლებრივი დისკრეციით და გადაეხედა

---

[16] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №03/028-24, ხელმისაწვდომია: https://acb.gov.ge/ka/news/antikoruftsiuli-biuros-ufrosis-2024-tslis-24-sektembris-gadatsqvetileba.

[17] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ „ქართული ოცნების“ ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 26 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/saertashoriso-gamchvirvaloba-sakartvelom-kartuli-ocnebis-antikorupciuli-biuros-gadacqvetileba, განახლებულია: 01.10.2024.

[18] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 27 სექტემბრის განჩინება №3/796-24.

[19] „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო”: ჩვენი სახელით არჩევნებს ვერ დავაკვირდებით, ვაგრძელებთ ინდივიდუალურ ბრძოლას ხმების დაცვისთვის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/saertashoriso-gamchvirvaloba-sakartvelo-chveni-saxelit-archevnebs-ver-davakvirdebit-vagrzelebt, განახლებულია: 01.10.2024.

თავისი გადაწყვეტილებისთვის ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ და მისი აღმასრულებელი დირექტორის - ეკა გიგაურისთვის „განცხადებული საარჩევნო მიზნის“ მქონე სუბიექტის სტატუსის მინიჭების შესახებ,[20] ასევე, თავი შეეკავებინა საარჩევნო პერიოდში ამ სტატუსის სხვა ორგანიზაციებისთვის მინიჭებისგანაც.[21] მეორე დღეს, ირაკლი კობახიძის განცხადების საპასუხოდ, ბიუროს ხელმძღვანელმა ხსენებულ პირებს სტატუსი გაუუქმა.[22] შესაბამისად, მათ მოეხსნათ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 თავით განსაზღვრული ყველა შეზღუდვა თუ ვალდებულება.

საიას მოსაზრებით, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ და მისი დირექტორის ეკა გიგაურისთვის „განცხადებული საარჩევნო მიზნის“ მქონე სუბიექტის სტატუსის მინიჭება იყო უკანონო, რადგან იგი არ შეესაბამებოდა ამ ფრაზის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრულ დეფინიციას.[23] ორგანიზაციის აზრით, ნორმის ასეთი ინტერპრეტაცია სახიფათო პრეცედენტს ქმნის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციულად შეზღუდვის კუთხით, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე ეხება არჩევნების სადამკვირვებლო ორგანიზაციას.[24]

[20] საქართველოს მთავრობის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/pfbid0ddgXjN36XYzTqVYig1eNC8t7BfXqdfZ9kHQdqYKf1zZZbPXzt26hzVngudsaFszyl, განახლებულია: 03.10.2024.

[21] იქვე.

[22] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის, რაჟდენ კუპრაშვილის ბრიფინგი, ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/100090428315724/videos/3859307714285208, განახლებულია: 03.10.2024.

[23] „საია და „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევენ, რომ ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება უკანონოა“, საიასა და სამართლიანი არჩევნების განცხადება, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 24 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-da-samartliani-archevnebi-miichneven-rom-antikorufciuli-biuros-gadatsyvetileba-ukanonoa#sthash.TRmTGxrt.dpbs, განახლებულია: 08.10.2024

[24] იქვე.

2. საარჩევნო ადმინისტრაცია

2.1. საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისია შერეული პრინციპით, პროფესიულ-პოლიტიკური ქვეტიპის მოდელით ყალიბდება და ის არაუმეტეს 17 წევრისგან შედგება. პროფესიული ნიშნით შერჩეულ 8 წევრს ნიშნავს ცესკო, ხოლო დანარჩენ 9-ს - პარტიები.[25] პროფესიული 5 წევრი 5 წლის ვადით, ხოლო 3 - დროებით, შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე იკავებს ამ თანამდებობას.[26] საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი არჩევნების ოფიციალურად დანიშვნის შემდეგ ცხადდება, ხოლო საბუთების წარდგენის ვადა კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღეა.[27] კანონმდებლობა კანდიდატებთან გასაუბრების ვალდებულებას არ ითვალისწინებს.

ცესკომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებში დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსი 27 აგვისტოს გამოაცხადა.[28] მსურველებს შესაბამისი საბუთების წარდგენა 28-29 აგვისტოს შეეძლოთ.[29] საიას მოსაზრებით, ეს არაგონივრულად შემჭიდროებული ვადაა ამ მასშტაბის კონკურსის ჩასატარებლად, რაც, შესაძლოა, წარდგენილი განაცხადების დაბალი რაოდენობის ერთ-ერთი მიზეზი იყოს. 219 ვაკანტურ ადგილზე სულ 264 პრეტენდენტი დარეგისტრირდა. აქედან ერთმა კონკურსანტმა ხარვეზი ვერ გამოასწორა, შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობა 263-მა პირმა განაგრძო.[30]

ნიშანდობლივია, რომ 2021 წლის საერთო არჩევნებთან შედარებით, კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა, დაახლოებით, 30%-ით შემცირდა. 219 ვაკანტურ პოზიციაზე მაშინ 377 მსურველი დარეგისტრირდა.[31]

---

[25] პარტია უფლებამოსილია, დანიშნოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, თუ მას აქვს ცესკოს წევრის დანიშვნის უფლება. პარტიას უფლება აქვს, დანიშნოს ცესკოს 1 წევრი, თუ პარტია ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული იყო საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით და მას მიკუთვნებული აქვს საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატი. თუ პარტიების რაოდენობა 9-ზე მეტია, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელმაც საქართველოს პარლამენტის არჩევნებში უფრო მეტი ხმა მიიღო. იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 20-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[26] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილი.

[27] იქვე, მე-20 მუხლის მე-12 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

[28] „საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევად კონკურსი გამოცხადდა“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033712-saolko-saarchevno-komisiebis-droebiti-tsevrebis-shesarchevad-konkursi-gamotskhadda, განახლებულია: 10.10.2024.

[29] იქვე.

[30] „ცენტრალური საარჩევნო კომისია დღეს 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების დროებით წევრებს აირჩევს“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033777-tsentraluri-saarchevno-komisia-tsesko-dghes-26-oktombris-archevnebistvis-saolko-saarchevno-komisiebis-droebit-tsevrebs-airchevs, განახლებულია: 10.10.2024.

[31] „სტატისტიკური ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების არჩე-

ცესკოს მონაცემებით, თითოეულ საოლქო საარჩევნო კომისიაში 3 ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატთა განაცხადების რაოდენობა ასეთი იყო:

41 საოლქო საარჩევნო კომისიაში შერჩევის პროცესი რეალური კონკურენციის გარეშე წარიმართა, რადგან 3 ვაკანტურ ადგილზე ზუსტად 3-3 განაცხადი შევიდა; 23 საოლქო საარჩევნო კომისიაში - 3 ვაკანტურ ადგილზე 4-4; 7 საოლქო საარჩევნო კომისიაში - 3 ვაკანტურ ადგილზე 5-5, ხოლო 2 საოლქო საარჩევნო კომისიაში - 3 ვაკანტურ ადგილზე 7-7 განაცხადი შევიდა.[32]

263 კონკურსანტიდან გასაუბრებაზე თანხმობა 135-მა განაცხადა. აქედან 71 მათგანი კი ასევე დათანხმდა, რომ გასაუბრება ცესკოს სოციალური ქსელის მეშვეობით, LIVE-რეჟიმში ჩატარებულიყო.[33]

კონკურსანტებთან გასაუბრების შესაძლებლობით ცესკოს 13-მა წევრმა ისარგებლა.[34]

ცესკოს 31 აგვისტოს სხდომაზე კანდიდატების შერჩევის პროცესი საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრების ნაწილმა გააკრიტიკა.[35]

უკმაყოფილება გამოითქვა კომისიის წევრთა ნაწილის კოორდინირებულ მოქმედებებთან დაკავშირებითაც.[36] სტრატეგია აღმაშენებლის წარმომადგენლის, ანა კობახიძის თქმით, ცესკოს ზოგიერთმა წევრმა წინასწარ იცოდა, ვისთვის უნდა დაეჭირა მხარი. მისი აზრით, სწორედ ამიტომ შეიკავა თავი კონკურსში მონაწილეობისგან საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე პირთა დიდმა ნაწილმა.[37]

ოპოზიციური პარტიებიდან დანიშნული ზოგიერთი წევრის მიერ ასევე პრობლემურად შეფასდა ის ფაქტი, რომ კანდიდატების აბსოლუტური უმრავლესობა საბიუჯეტო ორგანიზაციებში (სკოლებსა და თვითმმართველობის ორგანოებში) იყო დასაქმებული.[38]

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა დავით კირთა-

ვასთან დაკავშირებით“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 9 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DjOpUz, განახლებულია: 04.10.2024.

[32] იქვე.

[33] იქვე.

[34] გიორგი შარაბიძე, გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი ძაგანია, დიმიტრი ჯავახაძე, გია ცაცაშვილი, გიორგი ჭიქაბერიძე, მაია ზარიძე, არჩილ ანასაშვილი, გიორგი სიორიძე, ანა კობახიძე, ია პირტახია, ნონო ბასილაია და ლევან ჯგერენაია.

[35] ანა კობახიძე, დავით კირთაძე, გიორგი სიორიძე.

[36] ცესკოს სხდომა, 2024 წლის 16 აგვისტო, 1სთ 11წთ, ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=2mgSozY1XbY&t=3516s, განახლებულია: 10.10.2024.

[37] იქვე.

[38] იქვე, ცესკოს სხდომა, 2024 წლის 31 აგვისტო, ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=2mgSozY1XbY&t=3516s; აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კანონმდებლობა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიაში საქმიანობის რაიმე სახის შეზღუდვას/დაბრკოლებას.

ძემ[39] და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელმა დავით ჯინჯოლავამ პროტესტის ნიშნად კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.[40]

მთლიანობაში, პროცესის შედეგად შერჩეული 217 კანდიდატიდან 11-მა ცესკოს წევრთა 2/3-ის მხარდაჭერა (12 ან მეტი ხმა) მიიღო, ხოლო 207 პირი შეირჩა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ან მეტით, მაგრამ არა 2/3-ით (9-11 ხმა).[41] აღსანიშნავია, რომ ყველა კანდიდატი, რომლებსაც პარტია „ქართული ოცნების“ დანიშნულმა წევრმა დაუჭირა მხარი, საბოლოოდ, კომისიის წევრად შეირჩა.

შერჩეული წევრებიდან 146 მათგანს მხარი დაუჭირა ცესკოს პროფესიულმა, აგრეთვე, მმართველი პარტიის მიერ დანიშნულმა და მინიმუმ ერთმა ოპოზიციური პარტიის მიერ დანიშნულმა წევრმა მაინც.

საიას შეფასებით, აუცილებელია, მოიხსნას საკანონმდებლო ბარიერები საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ვადებთან დაკავშირებით. შესარჩევი კონკურსი კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე უნდა გამოცხადდეს, ხოლო განაცხადის მიღებისა და განხილვის ვადები გაიზარდოს. ეს კომისიას მისცემს მეტ დროს კანდიდატებთან გასაუბრების პროცესის ორგანიზებისთვის. ასევე, დაინტერესებულ პირებს უნდა მიეცეთ გონივრული ვადა კომისიის წევრობაზე განაცხადის წარსადგენად.

2.2. საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება

კანონმდებლობის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის 8 პროფესიულ წევრს შესაბამისი საოლქო კომისია ირჩევს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, იმ პირობით, თუ კანდიდატურას ხმას მისცემს, მათ შორის, ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის 3 წევრი მაინც.[42] თუ ის საჭირო ხმებს ვერ დააგროვებს, ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც მხარს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა დაუჭერს (5 მუდმივი პროფესიული წევრიდან 3-ის მხარდაჭერის მოთხოვნა აქაც ვრცელდება).[43] საუბნო საარჩევნო კომისიებში 9 წევრს ამ შემთხვევაშიც პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ.[44]

2022 წლის დეკემბერში მიღებული ცვლილებების შესაბამისად, 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებმა შეარჩიეს არა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები,[45] არამედ - მათი ხელმძღვანელი პირებიც.[46]

---

[39] პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.
[40] ცესკოს 2024 წლის 31 აგვისტოს №20/2024 სხდომის ოქმის დანართი 1-2.
[41] იქვე.
[42] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[43] იქვე, 25-ე მუხლის მე-11 ნაწილი.
[44] სულ 27 270 წევრი, იხ. https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033970-informatsia-saubno-saarchevno-komisiebis-khelmdzghvaneli-pirebistsevrebis-archevis-shesakheb.
[45] სულ 15 150 წევრი, იხ. იქვე.
[46] სულ 9 090 ხელმძღვანელი პირი, იხ. იქვე.

26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის[47] წევრთა[48] შესარჩევი კონკურსი 2 სექტემბერს გამოცხადდა.[49] მსურველთა აპლიკაციები 2-იდან 5 სექტემბრის ჩათვლით მიიღებოდა, ხოლო კანდიდატთა უმეტესობა 7 სექტემბერს შეირჩა.[50] **მოცემული ვადები ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელების, მიღებული განაცხადების შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის არაგონივრულად მცირეა.**

ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, 24 240 ვაკანტურ ადგილზე, სულ, 24 425 საკონკურსო განაცხადი შევიდა, მათ შორის, 9 090 ხელმძღვანელი პირის ვაკანტურ ადგილზე - 9 111, კომისიის წევრების 15 150 ვაკანტურ ადგილზე კი - 15 314 განაცხადი.[51] წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ კონკურსი რეალური კონკურენციის გარეშე წარიმართა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, შესაძლოა, შემჭიდროებული ვადები იყოს.

სასურველია, გაიზარდოს როგორც განაცხადების მიღების, ასევე მათი დამუშავების პერიოდი, ხოლო ეს პროცესი არ უნდა იყოს დამოკიდებული არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების თარიღზე. ამაზე მიუთითებს ვენეციის კომისიისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომელშიც განმარტებულია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე განაცხადების შეტანისა და განხილვისთვის დადგენილი ვადები უნდა გახანგრძლივდეს.[52]

საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიების 24 047 წევრი აირჩიეს. 193 ვაკანტურ ადგილზე ხელახალი კონკურსი გამოცხადდა.[53]

---

[47] სულ 3 030 საარჩევნო უბანი, იხ. იქვე.

[48] 51 510 კომისიის წევრი, იხ. იქვე.

[49] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 27 აგვისტოს №77/2024 განკარგულება საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობების, ვადებისა და არჩევის წესის განსაზღვრის თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebriviaqtebi/gankargulebebi/singleview/11033692-gankarguleba-772024-27082024, განახლებულია: 10.10.2024.

[50] „საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისა და წევრების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033849-saubno-saarchevno-komisiebis-khelmdzghvanelipirebisa-da-tsevrebis-shesarchevi-konkursi-gamotskhadda, განახლებულია: 10.10.2024.

[51] „ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების/წევრების არჩევის შესახებ“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033970-informatsia-saubno-saarchevno-komisiebis-khelmdzghvanelipirebistsevrebis-archevis-shesakheb, განახლებულია: 10.10.2024.

[52] Joint Opinion on Draft Amandements to the Election Code and the Law on Political Associations of Citizens, Opinion No. 1107/2022, European Commission for Democracy through Law (Venice Commission), 19 December 2022, available at: chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2022)047-e.

[53] „ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების/წევრების არჩევის შესახებ“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/

კანდიდატების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იყო საარჩევნო კოდექსში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრებისთვის სერტიფიცირების მოთხოვნა დაწესდა. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა, რადგან მანამდე მსგავსი მოთხოვნა მხოლოდ ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებზე ვრცელდებოდა. ახალი რეგულაციით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ორი ტიპის სერტიფიკატი დაწესდა: ერთი - რიგითი წევრებისთვის, მეორე კი - ხელმძღვანელი პოზიციებისთვის (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი). თუმცა, გარკვეული გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, თუ პირს უკვე აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის ან საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის სერტიფიკატი, მას დამატებითი სერტიფიცირება არ სჭირდება. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს. სერტიფიკატის ფლობა არ მოეთხოვებათ განსაკუთრებულ ვითარებაში შექმნილი საუბნო კომისიების წევრებს, საზღვარგარეთ მოქმედი საუბნო კომისიების წარმომადგენლებს და იმ პირებს, რომლებიც კონკურსში მონაწილეობენ ვადამდე შეწყვეტილი უფლებამოსილების მქონე წევრის ჩასანაცვლებლად.[54]

საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის პროცესში ასევე გათვალისწინებული იყო მათი თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ გაფართოებული მოთხოვნები (საფუძვლები). ეს გამორიცხავდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად ისეთი პირის არჩევას, რომელიც ბოლო ორ არჩევნებზე ამ პოზიციაზე პარტიის მიერ იყო დანიშნული, თავად იყრიდა კენჭს, ან იყო საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი; ასევე, პირი, რომელიც ბოლოს ჩატარებული არჩევნების წლის დასაწყისის შემდეგ იყო რომელიმე პარტიის შემომწირველი.[55]

2.3. ცესკოს ბრიფინგი ოპოზიციური პარტიის საჩივრებთან დაკავშირებით

2024 წლის 10 სექტემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაიმართა ბრიფინგი,[56] რომელიც შეეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების არჩევის შესახებ 9 სექტემბერს შეტანილ საჩივრებს. ცესკოს წარმომადგენლის განცხადებით, ამ ტიპის საჩივრები ემსახურებოდა, პროცედურული საშუალებების გამოყენებით, საარჩევნო ადმინისტრაციის და, აქედან გამომდინარე, საარჩევნო გარემოს დაზიანებას.[57] აღსანიშნავია, რომ საჩივრები ერთმანეთის მსგავსი იყო, რადგან ერთი და იმავე ტიპის სავარაუდო დარღვევას შეეხებოდა.

---

pres-relizebi/singleview/11033970-informatsia-saubno-saarchevno-komisiebis-khelmdzghvanelipirebistsevrebis-archevis-shesakheb, განახლებულია: 10.10.2024.

[54] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის „ე[1]“ ქვეპუნქტი.

[55] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე- 20 მუხლის მე-17[1] ნაწილი.

[56] ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბრიფინგი, 2024 წლის 10 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=1188067642276359, განახლებულია: 13.09.24.

[57] იქვე.

საგულისხმოა, რომ ბრიფინგის ჩატარების მომენტისთვის ცესკოს, როგორც კოლეგიურ ორგანოს, არ ჰქონდა ნამსჯელი ამ საკითხზე. სწორედ ამ თემას შეეხებოდა 11 სექტემბრის სხდომა, რომელზეც კომისიამ ზეპირი წესით მოუსმინა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს და შეკითხვები დაუსვა.[58] ცესკოს მიერ წინა დღით ჩატარებულმა ბრიფინგმა და საჩივრების წინასწარ შეფასებამ, საზოგადოებაში შექმნა მოლოდინი სავარაუდო გადაწყვეტილების შესახებ. იგივე აღნიშნა მოსარჩელემაც.[59] მისი თქმით, ცესკოს განცხადების გამო, უკვე ნათელი იყო, რა გადაწყვეტილება შეიძლებოდა მიღებულიყო.[60]

გასაჩივრების ეფექტიანი სისტემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არჩევნების სანდოობისთვის. გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ მათ საჩივრებს განმხილველი ორგანო დეტალურად შეისწავლის. თავისთავად, ის ფაქტი, რომ საჩივრები შინაარსობრივად ერთმანეთს ჰგავს ან, თუნდაც, ერთნაირია, არ იძლევა მათი უსაფუძვლობის შესახებ დასკვნის წინასწარ გამოტანის შესაძლებლობას. ცესკომ თავი უნდა შეიკავოს წარდგენილი საჩივრების განხილვამდე მათი საჯარო შეფასებისგან, რადგან, შესაძლოა, ამას ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი სხვა სუბიექტებისთვისაც, რომლებსაც საჩივრით მიმართვა სურთ, ასევე, გააჩინოს განცდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია საარჩევნო დავებს მიკერძოებულად განიხილავს.

2.4. ცესკოს თავმჯდომარის მიერ მედიასთან თანამშრომლობის გადახედვის დაანონსება

ცესკოს თავმჯდომარემ 2024 წლის 12 სექტემბერს გამართა ბრიფინგი,[61] რომელიც მედიის მიერ ცესკოს თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავებას შეეხებოდა.[62] ცესკოს თავმჯდომარის შეფასებით, ეს, სავარაუდოდ, უკანონოდ ხდებოდა და ამ ორგანოს დისკრედიტაციის მცდელობა იყო.[63] ამავე ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ, ასე გაგრძელების შემთხვევაში, კონკრეტულ მედიასთან თანამშრომლობის საკითხს გადახედავდა.[64]

ეს განცხადება მუქარად აღიქვა „TV პირველის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა[65] და მოითხოვა „თანამშრომლობის გადახედვის“ მნიშვნელობის

[58] ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, ცესკოს ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/CentralElectionCommissionOfGeorgia/videos/870494371343026, განახლებულია 13.09.2024.
[59] იქვე.
[60] იქვე.
[61] ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრიფინგი 2024 წლის 12 სექტემბერი, ცესკოს ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/CentralElectionCommissionOfGeorgia/videos/1908075229680674.
[62] იქვე.
[63] იქვე.
[64] იქვე.
[65] ნოდარ მელაძე - ცესკოს თავმჯდომარე „შაბათის ეთერის“ გუნდზე ზეწოლას ახდენს, BMG-ის ვებგვერდი, 2024 წლის 12 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bm.ge/news/nodar-meladze-tsesko-s-tavmjdomare-shabatis-eteris-gundze-zetsolas-akhdens, განახლებულია 13.09.2024.

მკაფიო განმარტება.[66]

ბრიფინგის შემდეგ ცესკოს თავმჯდომარემ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა განმარტება, რომელშიც აღარ იყო აქცენტირებული პერსონალური მონაცემების დამუშავება,არამედ მედიის ქმედება მან „ინფორმაციის მოპოვების არაეთიკურ მცდელობად“ და ადმინისტრაციაზე ზეწოლად შეაფასა,[67] ასევე, განმარტა, რომ თანამშრომლობის გადახედვა აკრედიტაციის გაუქმებას არ გულისხმობდა.[68]

ამ ფაქტს გამოეხმაურა „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ და ცესკოს თავმჯდომარის განცხადება ჟურნალისტურ საქმიანობაზე ცენზურის დაწესების მცდელობად შეაფასა.[69]

საიას მოსაზრებით, ცესკოს თავმჯდომარის მხრიდან მედიის მისამართით მსგავსი ტიპის განცხადებების გაკეთება დაუშვებელია. არჩევნების სანდოობისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მედიამ ის სათანადოდ გააშუქოს. სწორედ ამიტომ, საარჩევნო კოდექსის ერთ-ერთი არსებითი პრინციპი საჯაროობაა.[70] მსგავსი ტიპის განცხადებები აზიანებს საარჩევნო გარემოს და ხელს უშლის მედიას, შეასრულოს თავისი მთავარი ფუნქცია - მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია.

2.5. ცესკოს თანამშრომლებთან დაკავშირებული ინციდენტი

2024 წლის 10 სექტემბერს ცესკოში გაიმართა ბრიფინგი, რომელზეც ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი შარაბიძემ გააკეთა განცხადება საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ განხორციელებული მუქარისა და ზეწოლის თაობაზე.[71] მისი თქმით, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის” პოლიტსაბჭოს წევრმა ცესკოს თანამშრომლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, „ზეწოლა განახორციელა და შეეცადა რეალური ფაქტე-

[66] იქვე.

[67] გიორგი კალანდარიშვილის Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GiorgiKalandarishviliofficial/posts/pfbid0ZumtoACrpVDj6MsbcAe5kj6LPWudZybtC8YznVNoMajgWtABRTegDGDYmf78K9Q9l, განახლებულია: 13.09.2024.

[68] იქვე.

[69] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ცესკოს თავმჯდომარის მხრიდან მედიაზე განხორციელებულ ზეწოლასა და ჟურნალისტურ საქმიანობაზე ცენზურის დაწესების მცდელობას ეხმაურება, ქარტიის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 12 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/siakhleebi/article/98320-zhurnalisturi-ethikis-qartia-ceskos-thavmjdomarismkhridan-mediaze-gankhorcielebul-zetsolasa-da-zhurnalistur-saqmianobaze-cenzuris-datsesebismcdelobas-ekhmaureba, განახლებულია: 13.09.2024.

[70] საქართველოს საარჩევნო კოდექსის, მე-4 მუხლი.

[71] „საარჩევნო ადმინისტრაციის განცხადება თანამშრომლების მიმართ განხორციელებულ მუქარასა და ზეწოლაზე“, ცესკოს ვებგვერდი, 2024 წლის 9 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033957-saarchevno-administratsiisgantskhadeba-tanamshromlebis-mimart-gankhortsielebul-mukarasa-da-zetsolaze, განახლებულია: 11.09.2024.

ბის დამახინჯებულად წარმოჩენას მედიის თანდასწრებით“.[72]

ცესკოს განცხადებასთან ერთად, მედიით გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ეს ინციდენტია აღბეჭდილი.[73] სიუჟეტში ჩანს, რომ პროცესის შემდგომ, სასამართლოს ეზოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” პოლიტსაბჭოს წევრი ლაშა ფარულავა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებს „ბოროტმოქმედებს“, „ივანიშვილის გამპრავებლებს“ უწოდებს და ეუბნება, რომ ისინი „სამარეში ჩაჰყვებიან“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.[74]

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, საჯარო მოხელეების თმენის ვალდებულების ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე სხვა პირების, იგი ვერ გაუტოლდება ხელისუფლებაში მყოფი პირებისა ან პოლიტიკოსების თმენის ვალდებულებას.[75]

პოლიტიკური პარტიების წამომადგენლების მხრიდან, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების მისამართით მსგავსი ქმედების განხორციელება, საარჩევნო პროცესებისთვის დამაზიანებელი შეიძლება იყოს. მართალია, გამოთქმული ფრაზები ვერ შეფასდება მუქარად ან რაიმე ტიპის სამართალდარღვევად, თუმცა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, სასურველია, თავი შეიკავონ საჯარო მოხელეების მიმართ მსგავსი ქმედებებისგან.

2.6. საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნა

ქვეყნის საზღვრებს გარეთ უბნების გახსნისთვის საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული ვადა 26 სექტემბერს ამოიწურა.[76] ამავე დღეს ცესკოს სხდომაზე მიღებული განკარგულების დანართის მიხედვით, 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საზღვარგარეთ 42 ქვეყნის 53 ქალაქში 60 საარჩევნო უბანი გაიხსნა.[77] სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა დავით

[72] იქვე.

[73] „ხმაური იყო საქალაქო სასამართლოსთან | მოსამართლემ საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნაზე „სამართლიანი არჩევნების» სარჩელი წარმოებაში არ მიიღო“, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: „https://www.facebook.com/watch/?mibextid=oFDknk&v=1198026788128338&rdid=X3GGbTbe6Q4FW2v7, განახლებულია: 11.09.2024.

[74] იქვე.

[75] Janowski v. Poland [GC], app. no. 25716/94, 1999, § 33; Mariapori v. Finland, app. no. 37751/07, 2010, § 56; Nikula v. Finland, app. no. 31611/96, 2002, § 48; Balaskas v. Greece, app. no. 73087/17, 2020, §§ 48, 50-51, Milosavljević v. Serbia, app. no. 57574/14, 2021, § 60.

[76] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-7 ნაწილი; ცესკოს განკარგულება №79/2024.

[77] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 26 სექტემბრის №191/2024 განკარგულება, დანართი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebrivi-aqtebi/gankargulebebi/singleview/11034215-gankarguleba-1912024-26092024, განახლებულია: 10.10.2024.

კირთაძემ ალტერნატიული წინადადება წარმოადგინა.[78] ის დამატებით ითხოვდა საარჩევნო უბნების გახსნას იმ ქალაქებში,[79] სადაც საქართველოს მოქალაქეების დიდი რაოდენობა იმყოფებოდა. დავით კირთაძის მიერ კომისიისთვის შეთავაზებული ალტერნატიული წინადადება ცესკოს წევრთა უმეტესობამ არ გაიზიარა.[80]

26 სექტემბერს ყველა ექსტრატერიტორიული საარჩევნო უბანი უკვე არსებულ დიპლომატიურ და საკონსულო დაწესებულებებში გაიხსნა.[81] ამდენად, საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ნაწილის წუხილი სახელმწიფომ არ გაიზიარა.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, სხვა სახელმწიფოში არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისთვის, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, უბნებს ქმნის ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო).[82] საგარეო საქმეთა სამინისტრო ინფორმაციის მიწოდებისას ეყრდნობა საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ საარჩევნო უფლების მქონე პირთა მონაცემებს. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობით, ცესკო არ არის შეზღუდული, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით მიმართოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დამატებით დროებითი საკონსულო დაწესებულების გახსნის მოთხოვნით, სადაც ცესკო საარჩევნო უბნის გახსნას შეძლებს. საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც ემიგრანტთა დიდი რაოდენობა ჰყავთ. ასეთი ქვეყნისთვის აუცილებელია, შეინარჩუნოს აქტიური და მჭიდრო კავშირი თავის მოქალაქეებთან. ელექტორალური ჩართულობა ამ პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, რადგან მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ფორმირებაში. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ქვეყნის საზღვრებს გარეთ საარჩევნო უბნები, ძირითადად, დიპლომატიურ დაწესებულებებში იხსნება,[83] თუმცა არსებობს ისეთი პრაქტიკაც, როდესაც საარჩევნო უბნები შეიძლება ამ დაწესებულებების მიღმაც გაიხსნას. ამგვარ უბნებს, პირობითად, „სამეზობლო საარჩევნო უბნებს უწოდებენ".[84] ხმის მიცემის პროცესის გამარტივების მიზნით, ასეთი ტიპის უბნები ხშირად იქმნება ისეთ ადგილებში, სადაც

[78] ცესკოს სხდომა, 2024 წლის 26 სექტემბერი, ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=hidz10_WoFU&t=2578s.

[79] არნედო - ესპანეთი; ვალენსია - ესპანეთი; ცინცინატი - აშშ; ლოძი - პოლონეთი; ლეჩე - იტალია; ნეაპოლი - იტალია; ტორონტო - კანადა; მაიამი - აშშ; ჰამბურგი - გერმანია; სტრასბურგი - საფრანგეთი.

[80] ალტერნატიულ წინადადებას მხარი ცესკოს 6-მა წევრმა დაუჭირა.

[81] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 26 სექტემბრის №191/2024 განკარგულება, დანართი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebrivi-aqtebi/gankargulebebi/singleview/11034215-gankarguleba-1912024-26092024, განახლებულია: 8.10.2024.

[82] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

[83] Wellman, Allen, and Nyblade, The Extraterritorial Voting Rights and Restrictions Dataset (1950–2020).

[84] იქვე.

ბევრი ამომრჩეველია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი შორს არიან ქვეყნის ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლობებიდან.[85]

ცესკოს განსაკუთრებული როლი აქვს საზღვარგარეთ უბნების გახსნის პროცესში. როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, ის უზრუნველყოფს საქართველოში არჩევნების ადმინისტრირებას. ეს კი მოიცავს როგორც არჩევნების სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარების ხელშეწყობას, აგრეთვე, თითოეული მოქალაქის ხმის მიცემის უფლების დაცვას ქვეყნის შიგნით თუ მის საზღვრებს გარეთ.

საქართველოში არსებული პრაქტიკით, უცხოეთში საარჩევნო უბნები საკონსულო ან დიპლომატიური წარმომადგენლობების ტერიტორიაზე იხსნება.[86] საკონსულო დაწესებულებების გახსნაზე გადაწყვეტილებას საგარეო საქმეთა მინისტრი იღებს.[87] მიუხედავად ამისა, თუ ცესკოსთვის ცნობილია, რომ საქართველოს საკონსულო ან დიპლომატიური წარმომადგენლობა არ არის იმ ტერიტორიაზე, სადაც საკონსულო აღრიცხვაზე არიან უბნის გასახსნელად საჭირო რაოდენობის საქართველოს მოქალაქეები, მას, როგორც ყველა მოქალაქის საარჩევნო უფლების დამცველს, აქვს დისკრეცია, არჩევნებამდე გონივრული დროით ადრე მიმართოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და მოითხოვოს უბნის გახსნა.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ უბნების გახსნის საჭიროებაზე ცესკოს არაერთხელ მიაწოდეს ინფორმაცია როგორც თავად მოქალაქეებმა, ასევე საქართველოს პრეზიდენტმა და პროცესში ჩართულმა სხვა მხარეებმა.[88] საზღვარგარეთ სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა, რომელთა საცხოვრებელი ადგილიც დაშორებული იყო ქვეყანაში არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობისგან, თვითორგანიზებით შეაგროვეს საკონსულო აღრიცხვაზე მათი ყოფნის დამადასტურებელი მტკიცებულებები.[89] ამ მონაცემების მიხედვით, თითოეულ ამ ქალაქში საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი ემიგრანტების რიცხვი 50-ს აღემატებოდა. 2024 წლის მაისში, აგვისტოსა და

[85] იქვე.

[86] „გიორგი კალანდარიშვილი - საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების ორგანიზება მანიპულაციურად წარმოჩინდა, რამაც არაერთი მითის თუ დეზინფორმაციის ფორმირება გამოიწვია", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 24 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/giorgi-kalandarishvili-sazghvargaret-saarchevno-ubnebis-organizeba-manipulaciurad-warmochinda-ramac-araerti-mitis-tu-dezinformaciis formirebag amoiwvia/?fbclid=IwY2xjawFx7_BleHRuA2FlbQIxMAABHa_dHQoJTDTZ4uFHf_4SrJRRckPaNBbK1cwv svqPmFd4nDa54ZD8mirsbw_aem_7fuFno5dlMJjqrZEmWaDaQ, განახლებულია: 10.08.2024.

[87] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №206 დადგენილება, მიღებული 2005 წლის 16 ნოემბერს, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი.

[88] პრეზიდენტი ცესკოს თავმჯდომარესა და არასამთავრობოებს შეხვდა საზღვარგარეთ დამატებითი საარჩევნო უბნების გახსნის თაობაზე, „ევრონიუსის" ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 29 მარტი, ხელმისაწვდომია: https://euronewsgeorgia.com/2024/03/29/prezidenti-ceskos-tavmjdomaresa-da-arasamtavroboebs-shekhvda-sazgvargaret-damatebiti-saarchevno-ubnebis-gakhsnis-taobaze/, განახლებულია: 08.10.2024.

[89] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სექტემბერში შეგროვებული ინფორმაცია მოქალაქეებმა, უბნების გახსნის მიზნით, ცესკოს წარუდგინეს. მათი მიმართვების საპასუხოდ, 5 სექტემბერს ცესკოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ვერ დააკმაყოფილებდა ამ მოთხოვნას, ვინაიდან არ არსებობდა საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ცესკოს ამ ტიპის ინფორმაციის დამუშავებასა და მასზე რეაგირების ვალდებულებას დააკისრებდა.

ამასთან დაკავშირებით 7 სექტემბერს ორგანიზაცია „სამართლიანმა არჩევნებმა" თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომელსაც საფუძვლად დაედო საზღვარგარეთ მცხოვრები საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის ცესკოს თავმჯდომარის მიერ გაგზავნილი წერილები უბნების გახსნაზე უარის შესახებ. სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება და განმარტა, რომ ცესკოს უბნების გახსნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად დრო 2024 წლის 26 სექტემბრამდე ჰქონდა, ხოლო ცესკოს თავმჯდომარის წერილები ვერ ჩაითვლებოდა სხვა სახელმწიფოებში საარჩევნო უბნების შექმნის თაობაზე მიღებულ ოფიციალურ გადაწყვეტილებად. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, მართალია, კანონმდებლობით ცესკო ვალდებული იყო, საზღვარგარეთ შეექმნა საარჩევნო უბნები, თუმცა, სად გახსნიდა მათ, მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა.

იმ მოცემულობაში, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს არ გამოუჩენია შესაბამისი პოლიტიკური ნება საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნის მიზნით დროებითი საკონსულო დაწესებულებების შექმნის თაობაზე, ცესკო ვალდებული იყო, ემოქმედა პროაქტიულად, გაეზიარებინა საქართველოს მოქალაქეთა სურვილი და, ამომრჩევლის ინტერესებიდან გამომდინარე, სამინისტროსთვის უბნების გახსნის მოთხოვნით მიემართა. ცესკოს ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობდა საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების ხმის მიცემის უფლების რეალიზებას და აღასრულებდა მის მთავარ მიზანს — ყველა მოქალაქის საარჩევნო უფლების დაცვას.

საია მიიჩნევს, რომ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო იძლევა საზღვარგარეთ დამატებითი საარჩევნო უბნების გახსნის შესაძლებლობას ცესკოს ინიციატივის საფუძველზე. ცესკო, როგორც მოქალაქეთა საარჩევნო უფლების რეალიზებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო, ვალდებული იყო, უზრუნველეყო საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, იმ პირებისთვის, რომლებიც ქვეყნის საზღვრებს გარეთ იმყოფებიან. ამ მიზნით, მას აქტიურად უნდა ეთანამშრომლა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, განსაკუთრებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რათა გარანტირებული ყოფილიყო საქართველოს მოქალაქეების აქტიური საარჩევნო უფლების პრაქტიკული რეალიზება.

3. ამომრჩევლის მოსყიდვა და საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენება

3.1. სტუდენტების მობილიზება „ქართული ოცნების“ საარჩევნო ღონისძიებებზე

8 სექტემბერს ახალციხეში „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ღონისძიება გაიმართა.[90] მოქალაქის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი ლექტორი სტუდენტებს პარტიულ ღონისძიებაში მონაწილეობისკენ მოუწოდებდა.[91] როგორც საიას სადამკვირვებლო მისიისთვის გახდა ცნობილი, უნივერსიტეტში ლექტორების ინიციატივით იქმნებოდა სპეციალური სიები, სადაც მითითებული უნდა ყოფილიყო სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ასევე, შეძლებდა თუ არა ის ღონისძიებაზე დასწრებას (იხ. სურათი N1).

სურათი N1.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას განეკუთვნება სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას. მოცემულ შემთხვევაში, ლექტორები იყენებდნენ უნივერსიტეტში თავიანთ პოზიციას, რათა გავლენა მოეხდინათ სტუდენტებზე.

---

[90] „სჯსუ–ს სტუდენტებს „ქართული ოცნების“ პარტიულ შეხვედრაზე დასწრება დაავალეს საინფორმაციო პორტალი „sknews.ge“, 2024 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://sknews.ge/ka/news/41798?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR2ETMqW1bAM8QFZV1v6lCLwnpXrGewQk7Fpn9F0Ti0fZ6XFkruD3aIpCKA_aem_nJgUyPh8QvFAPt6CJ1lhWw, განახლებულია: 10.10.2024.

[91] იქვე.

გარდა ამისა, როგორც საიასთვის გახდა ცნობილი, ერთ-ერთი ლექტორი სტუდენტებს აფრთხილებდა, რომ ღონისძიებაში მონაწილეობა აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული მათი აკადემიური შეფასებისას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, საარჩევნო მიზნით პირისთვის რაიმე სახის უპირატესობის შეთავაზება, დაპირება ან გადაცემა ამომრჩევლის მოსყიდვაა.[92]

საიას შეფასებით, სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ ამ შემთხვევით, მოახდინონ სათანადო რეაგირება და საზოგადოების მყისიერი ინფორმირება.

3.2. „ოცნების ქალაქი“

ბათუმში, „ოცნების ქალაქში“, სამი 12-სართულიანი კორპუსი აშენდა.[93] ბინების გადაცემის პროცესი 5 ივნისს დაიწყო და ახალი საცხოვრებელი, დაახლოებით, 600-მა ოჯახმა მიიღო.[94] აგვისტოსა და სექტემბერში ბინების საკუთრებაში გადაცემის და გაფორმების პროცესი მიმდინარეობდა.[95] ამავე პერიოდში ასევე ინტენსიურად ხდებოდა ჯერ კიდევ ბარაკის ტიპის შენობებში მცხოვრები პირების ახალ მისამართზე რეგისტრაცია.[96]

გავრცელებული ინფორმაციით, ამ პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მმართველი პარტიის „კოორდინატორები“, რომლებიც იუსტიციის სახლებში მოქალაქეების მიყვანას აორგანიზებდნენ, ხოლო იქ გაცემულ დოკუმენტებს თავად იტოვებდნენ.[97]

ნიშანდობლივია, რომ ამ პროცესების შედეგად, ბათუმის საარჩევნო ოლქში, 58-ე საარჩევნო უბანზე დაემატა არანაკლებ 900 ამომრჩეველი, რის გამოც, მათმა რიცხვმა 3000-ს გადააჭარბა. შესაბამისად, საჭირო გახდა ახალი უბნის დამატება.[98]

საია მიიჩნევს, რომ არჩევნების დღესთან ახლო პერიოდში ასობით ოჯახისთვის ახალი ბინის გაფორმება, ისევე, როგორც ბინის მიღების მოლო-

---

[92] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1]-ე მუხლი.

[93] „ბათუმში, „ოცნების ქალაქში“ 600-მდე ოჯახს ახალი ბინები გადაეცა“, საინფორმაციო პორტალი „იმედი News”, 2024 წლის 5 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/QiIIj, განახლებულია: 10.10.2024.

[94] იქვე.

[95] ამ საკითხზე საიამ მიმართა შესაბამის უწყებას, თუმცა პასუხი ამ დრომდე არ მიუღია. იხ. „ოცნების“ კოორდინატორი ახალ სქემაზე – ვინ რისთვის მიჰყავთ „ოცნების ქალაქიდან“ საჯარო რეესტრში“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები“, 2024 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/archevnebi/543449/, განახლებულია: 10.10.2024.

[96] იქვე.

[97] იქვე.

[98] ცესკოს სხდომა, 2024 წლის 14 სექტემბერი, ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=B-lG3FzqmIo&t=3194s.

დინში მყოფი ათასობით ადამიანის[99] საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრაცია, ასევე, მმართველი პარტიის კოორდინატორთა მიერ ამ პროცესების ორგანიზება და მოქალაქეებისთვის იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტაციის ჩამორთმევა მრავალმხრივ პრობლემურია. ეს, შესაძლოა, იყოს წინასაარჩევნო მანიპულაცია, რაც მოქალაქეთა მძიმე სოციალური პირობების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებას და, პარტიული კოორდინატორების ჩართულობით, მათ ნებაზე ზემოქმედებას გულისხმობს. გარდა ამისა, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე ამ მასშტაბის პროექტების დასრულება ზრდის იმის ალბათობას, რომ პროექტის ბენეფიციარმა მმართველი ძალის მიმართ მადლიერება საარჩევნო ყუთთან გამოხატოს. არსებული პრაქტიკა არ შეესაბამება პარტიული და ადმინისტრაციული რესურსის გამიჯვნის პრინციპს და მმართველ პარტიას, სხვა პოლიტიკურ ძალებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

3.3. საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული პირების მობილიზება ოზურგეთში, მმართველი პარტიის საარჩევნო ღონისძიებაზე

მედიასაშუალებებით გავრცელდა კადრები, როგორ იკრიბებოდნენ საჯარო მოხელეები და ადგილობრივ ა(ა)იპ-ებში დასაქმებული პირები 31 აგვისტოს ოზურგეთში, „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო ღონისძიებაზე.[100] ტელეკომპანია „პირველის" მიერ მომზადებულ სიუჟეტში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები საუბრობენ, რომ მათ უფროსისგან მიიღეს დავალება, მონაწილეობა მიეღოთ „ქართული ოცნების" პარტიულ ღონისძიებაში,[101] ხოლო მათი ტრანსპორტირება ასევე სამსახურმა უზრუნველყო.[102] ამ პირების თქმით, ლანჩხუთის დასუფთავების სამსახური აქციაზე „სრულად" იყო წარმოდგენილი.[103]

საქართველოს საარჩევნო კოდექსით, აკრძალულია სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას.[104]

---

[99] „ბათუმში, „ოცნების ქალაქში", 600-მდე ოჯახს ახალი ბინები გადაეცა", „იმედი News", 2024 წლის 5 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/QiIIj, განახლებულია: 10.10.2024.

[100] „დასუფთავებამ წამოგვიყვანა, რომ არ წამოვსულიყავით, ალბათ, ჯარიმა იქნებოდა" - ვინ მოაბილიზა „ოცნებამ» პარტიულ შეკრებაზე", ტელეკომპანია „პირველის" ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/79037-dasuptavebam-tsamogvikvana-rom-ar-tsamovsulikavit-albat-jarima-iqnebodavin?fbclid=IwY2xjawFWOuJleHRuA2FlbQIxMAABHbaAdc3mcwFxoliZIRf8Z3KxH_qi5sFkdEdbRnwKXOSHMi4K0azafIJKA_aem_H8roA892gtkxxzqaypi_AQ&mibextid=xfxF2i, განახლებულია: 10.10.2024.

[101] იქვე.

[102] იქვე.

[103] იქვე.

[104] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის, 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

საიამ ამ ფაქტზე საჩივარი წარუდგინა ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიას. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, წერილით მიმართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს და საჩივარში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოდგენა სთხოვა.[105] საპასუხო წერილში ეს გარემოებები ორივე უწყებამ უარყო.[106]

აქედან გამომდინარე, საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საჩივარში დასახელებული პირების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის სამართლებრივი საფუძვლები.[107]

მსგავსი შემთხვევები შეიცავს მმართველი პარტიის მიერ საარჩევნო მიზნებისთვის საჯარო მოხელეთა გამოყენების ნიშნებს და არ შეესაბამება პარტიული და ადმინისტრაციული რესურსის გამიჯვნის პრინციპს.

3.4. რუსთავში „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლო შემთხვევები

2024 წლის 19 სექტემბერს პარტია „ქართულმა ოცნებამ“, თავისი საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ქალაქ რუსთავში რეგიონული ღონისძიება გამართა, რომელზეც პარტიის ლიდერებმა ქვემო ქართლის მოსახლეობას სიტყვით მიმართეს.[108] როგორც საიას სადამკვირვებლო მისიისთვის გახდა ცნობილი, სავარაუდოდ, ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებმა საარჩევნო მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენეს.

- **მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების მიერ სამუშაო დღის ადრე დასრულება**

სოციალურ ქსელსა და ონლაინ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2024 წლის 19 სექტემბერს მარნეულისა და წალკის ტერიტორიაზე არსებულმა საბავშვო ბაღებმა მუშაობა დროზე ადრე, 13:00 საათზე დაასრულეს. ბაღის აღსაზრდელთა მშობლების თქმით, მათ ამის შესახებ ბაღების აღმზრდელებმა და მასწავლებლებმა შეატყობინეს. ფეისბუქ-ჯგუფ „წალკელებში“ გამოქვეყნებული ანონიმური პოსტის მიხედვით, ბავშვებს ბაღიდან 13:00 საათზე იმიტომ უშვებდნენ, რომ აღმზრდელები და მასწავლებლები

[105] ლანჩხუთის №61 საოლქო საარჩევნო კომისიის 2024 წლის 3 სექტემბრის წერილი №61/28.
[106] იქვე.
[107] იქვე.
[108] „ქართული ოცნების“ ლიდერები რუსთავში მოქალაქეებს შეხვდნენ“, საინფორმაციო პორტალი „ევრონიუსი“, 2024 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://euronewsgeorgia.com/2024/09/20/qartuli-ocnebis-liderebi-rustavshi-moqalaqeebs-shekhvdnen/, განახლებულია: 25.09.2024.

რუსთავში „ქართული ოცნების“ რეგიონულ ღონისძიებაზე მიჰყავდათ.[109] ამ ფაქტთან დაკავშირებით საიამ წერილით მიმართა წალკის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელმაც ორგანიზაციას პასუხად აცნობა, რომ 19 სექტემბერს საბავშვო ბაღები დროზე ადრე არ დახურულა.[110]

მსგავსი შემთხვევა გამოვლინდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებშიც. ბაღის აღმზრდელებმა და გამგეებმა მშობლებს ბავშვების წაყვანა 14:00 საათამდე მოსთხოვეს.[111] სხვადასხვა ბაღის მიერ სამუშაო დღის ადრე დასრულების სხვადასხვა მიზეზი დასახელდა: ბაღში წყლის შეწყვეტა, ტრენინგები და ა.შ.[112] მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) განმარტებით, 19 სექტემბერს ბაღები, 18:00 საათის ნაცვლად, დაიხურა 17:30 საათზე, გეგმური სანიტარიული სამუშაოების გამო.[113]

ეს შემთხვევა, შესაძლოა, იყოს მუნიციპალური ორგანოებისა და ა(ა)იპ-ების მხრიდან პარტიული მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

- **რუსთავის ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ თანამშრომლის მიერ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეების მიმართ აქციაში მონაწილეობისკენ მოწოდება**

2024 წლის 19 სექტემბრის პარტიულ ღონისძიებაზე საცხოვრებელი კორპუსების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეთა (ე.წ. კორპუსის თავმჯდომარეები) მობილიზების სავარაუდო შემთხვევა გამოვლინდა რუსთავშიც. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსში“[114] დასაქმებული მე-4 ოლქის კოორდინატორი[115] თამარ თომაშვილი

---

[109] „მობილიზებული ადმინისტრაციული რესურსი და რეგიონიდან ჩამოყვანილი ხალხი: „ოცნება” რუსთავში“, საინფორმაციო პორტალი „QvemoQartli.ge“, 2024 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://qvemoqartli.ge/%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%96%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%90%e1%83%93%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%90/?fbclid=IwY2xjawFaL9JleHRuA2FlbQIxMAABHYA4E2I8wknZPvhynnDtgtBXaCjJvtacFaXBc_7FQ6lvrvKEnQ1hPaxvsQ_aem_BAJ38x4UPI5eAm9ThTc4Kw, განახლებულია: 25.09.2024.

[110] წალკის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 სექტემბრის N118-118242708 წერილი.

[111] „წყალი არ იქნება, ტრენინგები გვაქვს - ივანიშვილის ვიზიტი რუსთავში და მარნეულის ბაღების დროზე ადრე დაკეტვა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო მარნეული“, 2024 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.marneulifm.ge/ka/marneuli/article/87686--tsyali-ar-iqneba-treningebi-gvaqvs-ivanishvilis-viziti-rusthavshi-da-marneulis-baghebis-droze-adre-daketva, განახლებულია: 25.09.2024.

[112] იქვე.

[113] მარნეულის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრის) 2024 წლის 4 ოქტომბრის წერილი №13-322427883.

[114] ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“ დაარსებულია 2010 წელს და მისი ძირითადი მიმართულებებია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მათი სამართლებრივი კონსულტაცია, შესაბამისი პროგრამებით მათი განვითარება და ა.შ. დამატებით იხ. https://rustavi.gov.ge/aaip-rustavis-korpusi/.

[115] საიას ინფორმაციით, ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ საქმიანობის მიზნებისთვის ქალაქი

ე.წ. კორპუსის თავმჯდომარეებს მოუწოდებდა, ღონისძიებას დასწრებოდნენ და, დამატებით, ორი ადამიანის წამოეყვანათ.[116] ამ მიზნით, ის ითხოვდა მონაწილე პირების პერსონალურ ინფორმაციას - სახელს, გვარს, პირად ნომერს და ტელეფონის ნომერს.

საიას ინფორმაციით, ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსში“ ამხანაგობის თავმჯდომარეები ხელშეკრულებით არიან დასაქმებულნი.[117] მართალია, მათი ყოველთვიური ხელფასი განსაზღვრული არ არის, თუმცა „აქტიური თავმჯდომარეები" ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის გაძლიერების პროგრამის ფარგლებში კვარტალში ერთხელ იღებენ ფინანსურ წახალისებას არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.[118] შესაბამისად, ისინი, გარკვეულწილად, მიეკუთვნებიან ამ ა(ა)იპ-ზე სოციალურად თუ ეკონომიკურად დაკავშირებულ პირებს, რომლებიც თვითმმართველობისგან გარკვეულ სიკეთეებს იღებენ.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით, აკრძალულია სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა პარტიულ ღონისძიებებში.[119]

რუსთავის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის პარტიულ ღონისძიებაში მონაწილეობისა და, დამატებით, ამომრჩეველთა მობილიზების მოთხოვნა, შესაძლოა, იყოს პარტიული მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის, ასევე, თანამდებობის პირის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება.

3.5. რუსთავის ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ თანამშრომლის მოწოდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისადმი

საიას ინფორმაციით, ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ მე-4 ოლქის კოორდინატორი თამარ თომაშვილი 2024 წლის 27 სექტემბერს კორპუსის თავმჯდომარეებს „საერთო ჩათში“ სთხოვდა 15 ადამიანის მობილიზებას („სპეციალურ ბლანკზე“ უნდა შეეყვანათ ამ პირთა სია), რომლებიც არჩევნებზე ხმას მმართველ პარტიას მისცემდნენ. მისი თქმით, ეს იყო მათი „ახალი დავალება“, ხოლო ეს სიები „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსისთვის უნდა მიეწოდებინათ.

დაყოფილია არაოფიციალურ ტერიტორიულ ერთეულებად - ოლქებად, რომლებსაც ჰყავს ა(ა)იპ-ში დასაქმებული კოორდინატორი. სწორედ მათთან აქვთ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებს პირდაპირი კომუნიკაცია.

[116] „მობილიზებული ადმინისტრაციული რესურსი და რეგიონიდან ჩამოყვანილი ხალხი: „ოცნება" რუსთავში“, საინფორმაციო პორტალი „QvemoQartli.ge“, 2024 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/FMVrV, განახლებულია: 25.09.2024.

[117] საიასთვის ცნობილი გახდა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებს ირჩევს კორპუსის მოსახლეობა 2/3-ის უმრავლესობით, ამის შემდეგ კი ისინი ა(ა)იპ-ში დასაქმებულ პირებად მიიჩნევიან.

[118] ა(ა)იპ რუსთავის კორპუსის 2024 წლის 17 ოქტომბრის წერილი N601.

[119] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის, 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

3.6. „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის“ მიერ „ქართული ოცნების“ დელეგატობის კანდიდატის მხარდამჭერი პოსტის გაზიარება

2024 წლის 5 სექტემბერს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ ცესკოს მიმართა საჩივრით,[120] რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას შეეხებოდა. კონკრეტულად, 30 აგვისტოს სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის“ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნდა ვლადიმერ ბოჟაძის ფოტო და მხარდამჭერი პოსტი.[121] მნიშვნელოვანია, რომ 23 აგვისტოს „ქართულმა ოცნებამ“ ბოჟაძე თბილისის დელეგატად წარადგინა.[122]

ცესკომ საჩივარი არ დააკმაყოფილა.[123] ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ „ქართულ ოცნებას“ ჯერ ოფიციალურად პარტიული სია არ ჰქონდა დარეგისტრირებული. პოლიტიკურ პარტიებს სიის წარდგენა 26 სექტემბრამდე შეეძლოთ.[124] ცესკოს დასაბუთებით, სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ თანამშრომელი ვლადიმერ ბოჟაძე პოსტის გაზიარების მომენტისთვის არ იყო საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი, შესაბამისად, ეს უნივერსიტეტის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის კანონსაწინააღმდეგო გამოყენებად ვერ ჩაითვლებოდა.

საიას აზრით, ნორმის ამგვარი განმარტება პრინციპულად ავიწროებს იმ ფარგლებს, რომელშიც უკანონოდ მიიჩნევა წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება[125] და, ფაქტობრივად, კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევს ხელისუფლებაში მყოფ ძალას, სახელმწიფო რესურსის დახმარებით მოიპოვოს უპირატესობა არჩევნებში. გარდა ამისა, ნორმის ასეთი ინტერპრეტაციით, ნებისმიერი პირი, რომელიც უკვე აფილირებულია პოლიტიკურ პარტიასთან და საჯაროდ განცხადებულია, რომ იქნება პარტიულ სიაში, თავს აარიდებს ადმინისტრაციული რესურსის ნაწილში საარჩევნო კოდექსით დაწესებულ შეზღუდვებს.

---

[120] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების 2024 წლის 5 სექტემბრის საჩივარი, ხელმისაწვდომია: https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=08eb4dfa-0f92-4693-88d2-8d0aa011bc56, განახლებულია: 17.09.2024.

[121] სპორტის უნივერსიტეტის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo.php?fbid=1034848498432694&set=pb.100057226609550.-2207520000&type=3, განახლებულია: 17.09.2024.

[122] „ქართულმა ოცნებამ“ თბილისის ოლქებში დელეგატები წარადგინა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 23 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33089621.html, განახლებულია: 17.09.2024.

[123] ცესკოს 2024 წლის 14 სექტემბრის №01-02/1422 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://sachivrebiapi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile?id=77812ff1-ca3d-4f5c-81e4-897911ae9ddb, განახლებულია: 17.09.2024.

[124] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 115-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

[125] ოფიციალური საარჩევნო კამპანია 27 აგვისტოს დაიწყო, პარტიული სიების წარდგენის ვადა კი 26 სექტემბერს იწურება.

საიას აზრით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფრო ფართოდ, მიზნის შესაბამისად უნდა განემარტა ნორმა. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვის მთავარი მიზანი მმართველი პარტიის მიერ, მის ხელში კონცენტრირებული ძალაუფლების ხარჯზე, გაუმართლებელი უპირატესობით სარგებლობის თავიდან აცილებაა.

საია მოუწოდებს, ერთი მხრივ, მმართველ პარტიას, არ გამოიყენოს ადმინისტრაციული რესურსი საარჩევნო მიზნებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ცესკოს - უფრო დეტალურად შეისწავლოს შემთხვევები და ხელი შეუწყოს ამ ტიპის დარღვევების პრევენციას.

3.7. თელავის მერის მოადგილის მხრიდან აგიტაცია სამუშაო საათების განმავლობაში

2024 წლის 26 სექტემბერს თელავის მერის მოადგილემ ფიქრია ყუშიტაშვილმა სამუშაო საათებში გააზიარა მმართველი პარტიის მხარდამჭერი პოსტი, რომელზეც ასევე მითითებული იყო ქართული ოცნების პარტიული ნომერი.



საარჩევნო კოდექსის მიხედვით, აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაცია სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.[126]

[126] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

4. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები/აგიტაციაში ხელშეშლა

წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებასთან ერთად, მოიმატა ძალადობის, სიტყვიერი დაპირისპირების და კამპანიაში ხელშეშლის ფაქტებმა.

სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი ძალადობრივი ქმედებები საიამ რამდენიმე რეგიონში გამოავლინა. ორგანიზაციის მიერ შესწავლილი შემთხვევები უკავშირდება როგორც ფიზიკური ძალადობის, ასევე სხვისი ნივთის დაზიანების, კამპანიაში ხელშეშლის და სხვა სავარაუდო დანაშაულის შემცველ ინციდენტებს. სამართლიანი და თავისუფალი წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად არსებითად მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდეთ ამომრჩევლებთან შეხვედრისა და საკუთარი აქტივობების მშვიდ, არაძალადობრივ გარემოში წარმართვის შესაძლებლობა, აგრეთვე, ფიზიკური უსაფრთხოების განცდა.

4.1. ფიზიკური ძალადობის შემთხვევები

თავდასხმა კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წარმომადგენლებზე

8 სექტემბერს კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წარმომადგენლები, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ქარელში მოსახლეობას შეხვდნენ, სადაც მათ თავს დაესხნენ.[127] კოალიციის წარმომადგენლის, გრიგოლ გეგელიას თქმით, ინციდენტი სიტყვიერი შეურაცხყოფით დაიწყო და ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა.[128] კოალიციის განცხადებით, მათთვის ცნობილია თავდამსხმელის ვინაობაც.[129] პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი წევრის, ლანა გალდავას განცხადებით, მართალია, ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, თუმცა მათი მხრიდან რეაგირება არ ყოფილა.[130] ამ ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით საიამ შსს-ს მიმართა. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შსს-მ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რაც ძალადობას გულისხმობს.[131] გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს.

საიას მოსაზრებით, ეს შემთხვევები, შესაძლოა, შეიცავდეს პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის ნიშნებს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

---

[127] „გრიგოლ გეგელიას თქმით, ქარელში თავს დაესხნენ „ძლიერი საქართველოს” წარმომადგენელს”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება” 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33111613.html, განახლებულია: 11.09.24.
[128] იქვე.
[129] იქვე.
[130] „ძლიერი საქართველოს” ინფორმაციით, ქარელში ა(ა)იპ-ის თანამშრომელი და გამგებლის მოადგილის მეუღლე აქტივისტებს თავს დაესხნენ, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდი, 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/21803--dzlieri-saqarthvelos-cnobith-qarelshi-aipis-thanamshromeli-da-gamgeblis-moadgilis-meughle-aqtivistebs-thavs-daeskhnen, განახლებულია: 11.09.24.
[131] შსს-ს 2024 წლის 10 ოქტომბრის წერილი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ანა წითლიძეზე თავდასხმა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარის, ანა წითლიძის განცხადებით, 19 სექტემბერს ზუგდიდში საარჩევნო კამპანიის წარმოების დროს „ქართული ოცნების“ აქტივისტები თავს დაესხნენ.[132] მისი თქმით, ძალადობა რამდენიმე ეპიზოდად მიმდინარეობდა, რა დროსაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს თავად დეპუტატს. გავრცელებული ინფორმაციით, ასევე დაზარალდა პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრი ბექა ფარცვანია, რომელიც მათთან ერთად იმყოფებოდა და კამპანიაში მონაწილეობდა.[133]

მედიით გავრცელებულ მასალაში ჩანს, როგორ აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას ანა წითლიძეს.[134] ასევე, ჩანს ფიზიკური დაპირისპირების კადრები.[135]

ამ ფაქტს „ქართული ოცნების“ ზუგდიდის დელეგატი გამოეხმაურა, რომელმაც განცხადება ჯერ სოციალურ მედიით გაავრცელა,[136] ხოლო შემდგომ ბრიფინგი ჩანიშნა.[137] მისი განმარტებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა იქ შეკრებილ დევნილებს მიაყენეს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა.[138]

შსს-ს მიერ საიასთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო ჯგუფური ძალადობის ჩადენის ფაქტზე.[139] ამჟამად,სისხლის სამართლის საქმეზე კვლავ მიმდინარეობს გამოძიება.[140]

პოლიციელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება

16 სექტემბერს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებით, პოლიციამ პარტიის წევრზე იძალადა,[141] მათ შორის, ზურაბ აბაევი სასტიკად არის ნაცემი.[142] ადვოკატისა და თვითმხილველების თქმით, პოლიციამ

---

[132] „ანა წითლიძის თქმით, ზუგდიდში თავს დაესხნენ „ოცნების" აქტივისტები", „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი, 2024 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33126756.html, განახლებულია: 23.09.2024.

[133] იქვე.

[134] იქვე.

[135] იქვე.

[136] დავით კოდუას ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GDDavitKodua/posts/pfbid0eEQUokj7qQHLKW6QHxmtz74SRkJKrbmQWTs4i18L9TmzUffgzDNhp9PXUsnZuQmZl, განახლებულია: 23.09.24.

[137] იქვე, 2024 წლის, 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GDDavitKodua/videos/1299078917724581, განახლებულია: 23.09.24.

[138] იქვე.

[139] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

[140] შსს-ს 2024 წლის 10 სექტემბრის წერილი.

[141] „ნაციონალურ მოძრაობაში" ამბობენ, რომ მათი პარტიის წევრზე პოლიციამ იძალადა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33121886.html, განახლებულია: 18.09.24.

[142] „ოპოზიციის თქმით, ენმ-ის წევრი ზურაბ აბაევი სასტიკადაა ნაცემი“, საინფორმაციო პორტალი „On.ge“, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://go.on.ge/3m5o, განახლებულია: 18.09.24.

ჯერ აბაევს სცემა, შემდეგ დააკავა.[143] მოგვიანებით, დაზიანებების გამო, იგი პოლიციის განყოფილებიდან საავადმყოფოში გადაიყვანეს.[144] შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა პარტიის წევრი გადამოწმების მიზნით შეაჩერეს, რა დროსაც აბაევმა პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია.[145] შედეგად, იგი დააკავეს წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობისთვის.[146] თუმცა, ამის საპირისპიროდ, დაკავებულის უფლებათა დამცველი და თვითმხილველები აცხადებენ, რომ პოლიციელები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ, დაპირისპირება კი პოლიციელების მხრიდან დაზარალებულისთვის ფოტოების გადაღების გამო დაიწყო.[147] გავრცელებული ინფორმაციით, საავადმყოფოში შედგენილ ფორმა 100-ში წერია, რომ დაკავებულს აქვს ტვინის შერყევა და ფილტვების დაზიანებები.[148] დაზარალებულის ადვოკატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს რეაგირებისკენ მოუწოდა.[149] საიამ ამ საკითხზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან ინფორმაცია გამოითხოვა. მიღებული პასუხის მიხედვით, აბაევის მიმართ განხორციელებულ შესაძლო დარღვევის ფაქტზე ორგანოში რაიმე სახის შეტყობინება არ შესულა.[150] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, უნდა დაიწყოს გამოძიება, ხოლო ინფორმაცია უწყებამ შეიძლება მასმედიის საშუალებითაც მიიღოს.[151]

ეს ქმედება, შესაძლოა, შეიცავდეს პოლიციელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ნიშნებს.[152] საია მოუწოდებს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, გამოიძიოს ფაქტი და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული მოქმედებები.

---

[143] „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის" წევრის დაკავების საქმე", „ტელეკომპანია ფორმულას" იუთუბ-გვერდი, 2024 წლის 17 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=U1JEjKCwF1Y, განახლებულია: 18.09.24.

[144] იქვე.

[145] „შსს-ს ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის" ნაძალადევის შტაბისა და, ასევე, კომისიის წევრი ზურაბ აბაევი გადამოწმების მიზნით შეაჩერეს, რა დროსაც მან პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია", საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი", 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/812352-shss-s-inpormaciit-nacionaluri-mozraobis-nazaladevis-shtabisa-da-aseve-komisiis-cevri-zurab-abaevi-gadamocmebis-miznit-sheacheres-ra-drosac-man-policielebs-cinaagmdegoba-gaucia, განახლებულია: 18.09.24.

[146] იქვე.

[147] „რატომ იძალადა პოლიციამ ზურაბ აბაევზე და რატომ იყვნენ ისინი დაკავების დროს სამოქალაქო ფორმით | ხაბეიშვილის შეკითხვებს პოლიცია ვერ პასუხობს", ტელეკომპანია მთავარი არხი, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/165053-ratom-idzalada-politsiam-zurab-abaevze-ratom, განახლებულია: 18.09.24.

[148] „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის" წევრის დაკავების საქმე", ფორმულას იუთუბ-გვერდი, 2024 წლის 17 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=U1JEjKCwF1Y, განახლებულია: 18.09.24.

[149] იქვე.

[150] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 2 ოქტომბრის წერილი N SIS 7 24 00018427

[151] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 101, ნაწილი 1-ლი.

[152] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი.

4.2. წინასაარჩევნო კამპანიასა და სამოქალაქო აქტივიზმში ხელის შეშლა

„ქართული ოცნებისთვის“ წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაში ხელის შეშლა

2024 წლის 13 სექტემბერს ქუთაისში, „ავტოქარხნის დასახლებაში“, პარტია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე მივიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი დიტო კვანტალიანი.[153] მისი ფეისბუქ-პოსტის მიხედვით, იგი მმართველი პარტიის „პროპაგანდას“ აპროტესტებდა, რასაც მას და ადგილზე მყოფ პირებს შორის სიტყვიერი კამათი მოჰყვა.

პლატფორმა „აირჩიე ევროპისთვის“ სამოქალაქო აქტივიზმში ხელშეშლა

პლატფორმა „აირჩიე ევროპის“ წარმომადგენლები 15 სექტემბერს რუსთავში შეხვედრებს მართავდნენ.[154] მათ წინააღმდეგობა გაუწია „რუსთავი მოლის“ დაცვამ, რომელმაც მოლში მოსახლეობასთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მისცა.[155] დაცვის თქმით, აქტივისტებს კერძო ტერიტორიაზე ბროშურების დარიგების უფლება არ ჰქონდათ.[156] პლატფორმის წარმომადგენლები კი მიიჩნევენ, რომ მოლის ტერიტორია არის საჯარო სივრცე და მათ ჰქონდათ ამის უფლება.[157] მოლი სამეწარმეო მიზნებისთვის გამოყენებული ადგილია, რომელშიც შესვლა მისი მეპატრონის წინასწარ თანხმობას არ საჭიროებს.[158]

მედიით გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტის შემდგომ პლატფორმის წევრებმა რუსთავის ცენტრალურ პარკთან გადაინაცვლეს. თუმცა, იქ მობილიზებულნი იყვნენ საკრებულოს წარმომადგენლები, რომლებმაც მათ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და არ მისცეს მოსახლეობასთან შეხვედრის საშუალება.[159]

---

[153] „ქართული ოცნების“ ინფორმაციით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზონის უფროსი დიმიტრი კვანტალიანი ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში, მმართველი პარტიის შეხვედრის ჩაშლას ცდილობდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 14 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/812103-kartuli-ocnebis-inpormaciit-ertiani-nacionaluri-mozraobis-zonis-uprosi-dimitri-kvantaliani-kutaisshi-avtokarxnis-dasaxlebashi-mmartveli-partiis-shexvedris-chashlas-cdilobda/, განახლებულია: 27.09.24.

[154] „თავდასხმა სამოქალაქო აქტივისტებზე - „აირჩიე ევროპის” წევრებს საჯარო მოხელეები დაახვედრეს”, ტელეკომპანია „პირველის“ Youtube-არხი, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=qlxxcmc-iIw, განახლებულია: 17.09.24.

[155] იქვე.

[156] „აირჩიე ევროპა” — ამჯერად კამპანია რუსთავში გრძელდება. კამპანიის მიზანია მოქალაქეების ინფორმირება ევროკავშირსა და დასავლურ ფასეულობებზე”, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=1091918275657019, განახლებულია: 17.09.24.

[157] იქვე.

[158] ლოლაძე, ბ. ფირცხალაშვილი, ა. ძირითადი უფლებები: კომენტარი, 2023, 331.

[159] იქვე.

აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით შსს-მ საიას შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

საჯარო სივრცეებში გადაადგილების ძალადობრივი ფორმებით შეზღუდვა, ისევე, როგორც გამოხატვის თავისუფლებაში უხეში ჩარევა, აზიანებს წინასაარჩევნო გარემოს. არსებითად მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივ გაერთიანებებს ჰქონდეთ საშუალება, დაუბრკოლებლად გამოხატონ თავიანთი აზრი.

4.3. სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით სხვისი ნივთის დაზიანება

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ ბესო ქართველიშვილს მანქანა დაუზიანეს8 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ ბესო ქართველიშვილს მანქანა დაუზიანეს.[160] ინციდენტი რაჭაში, ამბროლაურის რაიონში მოხდა.[161] პარტიაში ვარაუდობენ, რომ ეს „ქართული ოცნების” წევრებმა ჩაიდინეს.[162]

აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით პოლიციამ გამოძიება დაიწყო, რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს.[163]

„ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელის მანქანის დაზიანება

2024 წლის 15 სექტემბერს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლესიჭინეში დააზიანეს პარტია „ქართული ოცნების“ წევრისა და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, ჯუმბერ იზორიას ავტომობილი.[164] იგი სოფელ ლესიჭინეში წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად იმყოფებოდა და თვითონ ფაქტს არ შესწრებია.[165] შსს-ს მიერ საიასთვის მოწოდებული ინფორმაციით, გამოძიება ავტომანქანის დაზიანების ფაქტზე დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით.[166] ამასთანავე, ჩატარდა სხვადასხვა სახის საგამო-

---

[160] „ფავლენიშვილი: „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ამბროლაურში მანქანა დაუზიანეს“, ტელეკომპანია „ფორმულას“ ვებგვერდი, 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/116667, განახლებულია: 11.09.24.

[161] „რაჭაში „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის” წევრ ბესო ქართველიშვილს ავტომობილი დაუზიანეს”, ტელეკომპანია „მთავარის“ ვებგვერდი, 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/164478-rachashi-ertianoba-natsionaluri-modzraobis-cevrs, განახლებულია: 11.09.24.

[162] „რაჭაში, ენმ-ს წევრს ავტომობილი დაუზიანეს“, საინფორმაციო პორტალი „newspost.ge“, 2024 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://newposts.ge/news/politica/rachashi-enm-s-tsevrs-avtomobili-dauzianes, განახლებულია: 11.09.24.

[163] შსს-ს 2024 წლის 10 ოქტომბრის წერილი.

[164] „ქართული ოცნების” ინფორმაციით, ჩხოროწყუში, „კოალიცია ცვლილებისთვის” წევრმა „ქართული ოცნების” ადგილობრივი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელს ავტომანქანა ქვებით დაუმტვრია”, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი”, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/812310-kartuli-ocnebis-inpormaciit-chxorocqushi-koalicia-cvlilebistvis-cevrma-kartuli-ocnebis-adgilobrivi-saarchevno-shtabis-xelmzgvanels-avtomankana-kvebit-daumtvria/, განახლებულია: 23.09.2024.

[165] იქვე.

[166] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 4 ოქტომბრის წერილი № MIA 7 24 03052970.

ძიებო მოქმედებები, მათ შორის გამოიკითხნენ პირები. [167]

მსგავსი შემთხვევები, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, ნეგატიურად აისახება საარჩევნო გარემოზე და ხელს უშლის პოლიტიკურ სუბიექტებს, თანასწორ, თავისუფალ, სამართლიან გარემოში წარმართონ თავიანთი კამპანია.

ამგვარი შემთხვევები, შესაძლოა, იყოს სხვისი ნივთის დაზიანება პოლიტიკური მოტივით.

4.4. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დაკავება

14 სექტემბერს გორში დააკავეს ბიზნესმენი და სამოქალაქო აქტივისტი იოსებ ბაბაევი.[168] როგორც მედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან იკვეთება, ის დააკავეს პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის მიზეზით.[169] დაკავებამდე, წინა დღეს, ბაბაევი აპროტესტებდა იმ სამზადისით გამოწვეულ დისკომფორტს, რომელიც გორში „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ღონისძიებას უკავშირდებოდა.[170] ამ საკითხზე ის აქციასაც აანონსებდა.[171] ბაბაევი მეორე დღეს იმ დროს დააკავეს, როდესაც საკუთარი ბარისკენ მიდიოდა.[172] მისი თქმით, თავდაპირველად პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ მანქანით ვერ გადაადგილდებოდა, თუმცა შემდგომ დაემორჩილა პოლიციას და გზა ფეხით გააგრძელა, რა დროსაც პოლიციის უფროსის ბრძანებით დააკავეს.[173] ბაბაევი 48 საათში გაათავისუფლეს.[174] დაკავებას ის იმ ფაქტს უკავშირებს, რომ ბიძინა ივანიშვილის ჩამოსვლის გაპროტესტებას აპირებდა.[175]

სასამართლომ ბაბაევი სამართალდამრღვევად ცნო და ორდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.[176] ბაბაევის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელებს დაკავებისას სამხრე კამერები ეკეთათ, სასამართლოში ჩანაწერი არ წარმოუდგენიათ.[177] ბაბაევი მიიჩნევს, რომ პოლი-

---

[167] იქვე.

[168] „გორში სამოქალაქო აქტივისტი იოსებ ბაბაევი დააკავეს“, „ტაბულას“ ვებგვერდი, 2024 წლის 14 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/en/news/722966-gorshi-samokalako-aktivisti-ioseb-babaevi, განახლებულია: 20.09.2024.

[169] იქვე.

[170] „გორში ბიზნესმენი და სამოქალაქო აქტივისტი დააკავეს“, „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი, 2024 წლის 14 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33119910.html, განახლებულია: 20.09.2024.

[171] იქვე.

[172] იქვე.

[173] გაათავისუფლეს გორში დაკავებული ბიზნესმენი და აქტივისტი სოსო ბაბაევი, „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი, 2024 წლის 16 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33121910.html, განახლებულია: 20.09.2024.

[174] იქვე.

[175] იქვე.

[176] სასამართლომ გორში დაკავებული ბიზნესმენი იოსებ ბაბაევი სამართალდამრღვევად ცნო, საინფორმაციო პორტალი „საქართველოს ამბები“, 2024 წლის 27 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://sakartvelosambebi.ge/ge/akhali-ambebi/sasamartlom-gorshi-dakavebuli-biznesmeni-ioseb-babaevi-samartaldamrghvevad-tsno, განახლებულია: 30.09.2024.

[177] იქვე.

ტიკური დევნის მსხვერპლია, რადგან, მისი მოსაზრებით, სამართალდარღვევა არ ჩაუდენია.[178]

გორის რაიონულმა სასამართლომ ბაბაევის საქმეზე 2024 წლის 27 სექტემბერს მიიღო დადგენილება, რომელიც ეფუძნება საპატრულო პოლიციის წარმომადგენელთა განმარტებებს. საქმეში არ არის სამხრე კამერების ჩანაწერები ან სხვა ნეიტრალური მტკიცებულები. საინტერესოა, რომ სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის (პოლიციის კანონიერი მოწოდების დაუმორჩილებლობა) დარღვევად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ბაბაევმა მანქანა არ გადააყენა. ამის საწინააღმდეგოდ, საქმეში წარმოდგენილია იოსებ ბაბაევის ტელეფონით გადაღებული ვიდეომასალა, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ თავად პოლიცია უთითებს მანქანის გაჩერების ადგილის შესახებ. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან სასამართლოს უნდა შეეფასებინა რამდენიმე გარემოება: პირველ ყოვლისა, იყო თუ არა ეს 173-ე მუხლის შემადგენლობის მქონე სამართალდარღვევა და, კონკრეტულ შემთხვევაში, რა შეიძლებოდა მოაზრებულიყო კანონიერ მოთხოვნად.[179]

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რამდენად არსებობდა დაკავების აუცილებლობა. ამასთანავე, საინტერესოა, რომ ბაბაევი დააკავეს მაქსიმალური ვადით, რისი აუცილებლობის ობიექტური დასაბუთება პოლიციას არ წარმოუდგენია.

საგულისხმოა, რომ ბაბაევი ასევე ბრალდებულია სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში,[180] რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას წინ უძღოდა ბაბევის მონაწილეობა რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციებში. საია მონიტორინგს უწევს ამ პროცესს.

თვითნებური დაკავება, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება განსხვავებული მოსაზრებების მქონე პირს, აჩენს პოლიტიკურად მოტივირებული დევნის ეჭვებს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ასეთი შემთხვევა დეტალურად იყოს შესწავლილი შესაბამისი უწყებების მიერ.

[178] იქვე.

[179] მანქანის გაჩერებულ მდგომარეობაში დაყენების აკრძალვა თუ გადაადგილების აკრძალვა, რადგან, როგორც იკვეთება, თავად პოლიციამ მისცა ბაბაევს იმ ტერიტორიაზე შესვლის და ავტომობილის გაჩერების უფლება, ხოლო ფეხით გადაადგილება ისედაც დაშვებული იყო.

[180] 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში აპრილი - ივნისი, თბილისი 2024, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bTlyn, განახლებულია: 20.09.2024.

5. სააგიტაციო მასალის დაზიანება

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილზე არ არის განთავსებული.[181] სააგიტაციო მასალად კოდექსი მიიჩნევს ნებისმიერ მასალას, რომელზეც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი.[182]

საანგარიშო პერიოდში მედიაში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ადამიანები, რომლებსაც აცვიათ „ახალი ერთობა - გვარამია-მელიას“ სიმბოლიკიანი სამოსი, აზიანებენ, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პლაკატებს.[183]

საია მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ ამგვარი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

კოალიცია „ძლიერი საქართველო - ლელო ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ წარმომადგენელმა თენგო კოჩუამ სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ზუგდიდში, სხვადასხვა ადგილზე, კოალიციის პლაკატებზე გადაკრული იყო სხვა პოლიტიკური პარტიის - „ხმა ერისა, გზა ხსნისა“ - პლაკატები.[184] როგორც ირკვევა, პლაკატები გადააკრა ამავე პარტიის წარმომადგენელმა, რომელიც აცხადებს, რომ არ მოსწონს დასახელებული კოალიცია.[185] საარჩევნო კოდექსი პირდაპირ კრძალავს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნას, ჩამოხევას, დაფარვას ან დაზიანებას, თუ ის აკრძალულ ადგილზე არ არის განთავსებული.[186]

საია მოუწოდებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს,[187] მაქსიმალურად მოკლე ვადებში შეისწავლონ ეს ფაქტი და გამოავლინონ პასუხისმგებელი პირები. პარტიებმა კი მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ ამგვარი შემთხვევების შესამცირებლად.[188]

---

[181] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-7[1] ქვეპუნქტი.

[182] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ჰ[7]“ ქვეპუნქტი.

[183] „გვარამია/მელიას პარტიის წევრები „ქართული ოცნების» პლაკატებს ანადგურებენ“, ტელეკომპანია „იმედის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 10 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=885854980129965, განახლებულია: 11.09.2024.

[184] თენგო კოჩუას Facebook-გვერდი, 3 ოქტომბერი, 2024 წელი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=8681471885208415&id=100000370684188&rdid=UHOuMlKVLbNGONF1, განახლებულია: 04.10.24.

[185] გურამ მესხიას კომენტარი თენგო კოჩუას ფეისბუქ-პოსტზე, 3 ოქტომბერი, 2024 წელი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=8681471885208415&id=100000370684188&rdid=UHOuMlKVLbNGONF1, განახლებულია: 04.10.24.

[186] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 46-ე მუხლის მე-7[1] ნაწილი.

[187] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 93-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[188] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, აგვისტო-სექტემბერი (თბილისი, 2020), გვ. 30, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DelH7I, განახლებულია: 04.10.24.

6. საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებლების სამსახურიდან გათავისუფლება სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით

2024 წლის აგვისტოს ბოლოს, წინასაარჩევნო პერიოდში, რამდენიმე საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელს უფლებამოსილება შეუწყდა. აღსანიშნავია, რომ ისინი ამ ფაქტს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას უკავშირებენ.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე არჩევის წესს. თავდაპირველად, იმართება შესაბამისი კონკურსი - გამოცდა, ხოლო შემდგომ კანდიდატი გადის გასაუბრებას სპეციალურ კომისიასთან. ამ ეტაპის გადალახვის შემდეგ სამინისტრო კანდიდატს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.[189] იმ შემთხვევაში, თუ სამეურვეო საბჭო ვერ ახერხებს დირექტორის არჩევას, მაშინ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს შეუძლია, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, თვითონ დანიშნოს დირექტორები. აღსანიშნავია, რომ იმ სკოლებში, სადაც დირექტორებს სამეურვეო საბჭო ვერ ირჩევდა, მინისტრის დისკრეციით მათი დანიშვნა უცხო არ იყო.[190] თუმცა, მას შემდეგ, რაც 2023 წლის დირექტორების კონკურსის შედეგად დაახლოებით 1000 სკოლა დირექტორის გარეშე დარჩა, ყოფილმა მინისტრმა გიორგი ამილახვარმა განაცხადა, რომ იგი დისკრეციულ უფლებამოსილებას არ გამოიყენებდა და სამინისტროს „გემოვნებას თავს არ მოახვევდა“ სკოლებს.[191] მისი თქმით, ამ შესაძლებლობის ფარგლებში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იმოქმედებდა.[192] შესაბამისად, 2024 წელს კვლავ გამოცხადდა დირექტორების კონკურსი. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დირექტორობის კანდიდატი სამინისტრომ უნდა შეარჩიოს გამჭვირვალობის, სამართლიანი კონკურენციისა და თანასწორობის პირობებში, რაც, თავისთავად, კრძალავს სამინისტროს მხრიდან დისკრიმინაციას, მათ შორის, პოლიტიკური ნიშნით. ამასთანავე, კანონის პირდაპირი მოთხოვნაა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჯარო სკოლების პოლიტიკური დამოუკიდებლობა.[193]

---

[189] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 42-ე მუხლი.

[190] „სკოლებში, სადაც ჯერ კიდევ არ აურჩევიათ დირექტორები, ახალი კონკურსი გამოცხადდება — მინისტრი“, საინფორმაციო პორტალი netgazeti.ge, 2023 წლის 12 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/701442/, განახლებულია: 17.09.2024.

[191] იქვე.

[192] იქვე.

[193] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 (ბ) პუნქტი.

- **სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებლის, ნანა შამათავას გათავისუფლება**

26 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის სკოლის დირექტორად ნანა ჯგერენაია დანიშნა. შესაბამისად, 30 აგვისტოს უფლებამოსილება შეუწყდა სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელ შორენა შამათავას. აღსანიშნავია, რომ შორენა შამათავამ წარმატებით ჩააბარა დირექტორობის კანდიდატების ტესტირება, თუმცა სპეციალურ კომისიასთან გასაუბრების ეტაპი ვერ გადალახა. სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის დირექტორობის კანდიდატად უკვე ახალი დირექტორი ნანა ჯგერენაია წარადგინეს, თუმცა სამეურვეო საბჭომ იგი 19 ივნისის სხდომაზე დირექტორად არ აირჩია. აქედან გამომდინარე, შორენა შამათავა სკოლის დირექტორის მოვალეობას 26 აგვისტომდე ასრულებდა, სანამ ამავე დღეს მინისტრმა ზემოაღნიშნული ბრძანებით ახალი დირექტორი არ დანიშნა.

როგორც შორენა შამათავა საიასთან საუბარში აცხადებს, ეს შედეგი წინასწარ იყო ცნობილი და ამის შესახებ სენაკის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი მას თავიდანვე აფრთხილებდა. მისი თქმით, გათავისუფლების რეალური მიზეზი მისი პოლიტიკური შეხედულებები გახდა. იგი მონაწილეობდა პარტიის „გახარია საქართველოსთვის“ მიერ გამართულ ღონისძიებაში. დირექტორის პოლიტიკური პოზიციის თაობაზე მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირები მუდმივად ამახვილებდნენ ყურადღებას.

- **ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებლის, მინდია გველებიანის გათავისუფლება**

უფლებამოსილება შეუწყდა ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელს, მინდია გველებიანს. ის 1995 წლიდან იყო სსიპ ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამაშევის საჯარო სკოლის მასწავლებელი, ხოლო 2004 წლიდან - ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

მინდია გველებიანისთვის ნამაშევის საჯარო სკოლის ახალი დირექტორისგან გახდა ცნობილი, რომ ის დაკავებული პოზიციიდან გაათავისუფლეს. მოგვიანებით, მას ჩაჰბარდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება მასთან, როგორც სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მინდია გველებიანი პარტია „გახარია საქართველოსთვის“ აქტიური წევრია. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ის ასევე იყო ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტა-

რობის კანდიდატი ამავე პარტიიდან. მიმდინარე წლის 21 აგვისტოს პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წარმომადგენლებს საარჩევნო შეხვედრები ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის, ხონშიც.[194] ამ შეხვედრის ორგანიზებაში მინდია გველებიანი აქტიურად იყო ჩართული. რამდენიმე დღეში კი მას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ეცნობა.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მინდია გველებიანს არ აქვს ჩაბარებული სკოლის დირექტორობის გამოცდა, რომელიც გაზაფხულზე ჩატარდა. როგორც იგი საიასთან საუბარში აცხადებს, თავიდანვე იცოდა, რომ დირექტორად არ დანიშნავდნენ, ამიტომ „კონკურსში მონაწილეობას აზრი არ ჰქონდა“. ახალ დირექტორს, ნანა ხარაბაძეს, მართალია, გამოცდა ჩაბარებული აქვს, თუმცა მის კანდიდატურას სკოლის სამეურვეო საბჭომ მხარი არ დაუჭირა. მიმდინარე წლის აგვისტოში მინისტრმა, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, დირექტორად ხათუნა ხარაბაძე დანიშნა.[195]

ამასთანავე, მინდია გველებიანისთვის სკოლის მასწავლებლებისგან გახდა ცნობილი, რომ ის გაათავისუფლეს არა მხოლოდ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, არამედ კლასის დამრიგებლის პოზიციიდანაც და საგაკვეთილო საათები ჩამოართვეს.[196] ის მიიჩნევს, რომ მისი გათავისუფლება დისკრიმინაციული საფუძვლით მოხდა.[197]

მინდია გველებიანმა თავისი უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართა. სამართლებრივ დახმარებას მას საია უწევს. ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, 2024 წლის 1-ელ ოქტომბერს მინდია გველებიანმა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციიდან მისი გათავისუფლების კანონიერების საკითხზე სარჩელით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს. ხოლო მას შემდეგ, რაც სკოლამ ყოფილ დირექტორს არ მიაწოდა დაკონკრეტებული ინფორმაცია, რა საფუძვლით ჩამოერთვა მას მასწავლებლის საათები, 9 ოქტომბერს სასამართლოს დამატებით წარუდგინა დაზუსტებული სარჩელი მასწავლებლის საათების გაუქმებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საიას დახმარებით, ის აპირებს, დისკრიმინაციის თაობაზე მიმართოს სახალხო დამცველს.

[194] პოსტი ფეისბუქ-გვერდზე - „გახარია news საქართველოსთვის“, 22 აგვისტო, 2024, https://www.facebook.com/Gakharianewsforgeo/posts/pfbid0292mdtSe8gxRky3X1WzXCPNUBGyGyeNvWoFtRyJFSqK2oB9xgipn2mQxKmv3uQFw1l, განახლებულია: 17.09.2024.

[195] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[196] ამის თაობაზე მინდია გველებიანმა საიასთან საუბრისას განაცხადა.

[197] „რამდენიმე პედაგოგი ამბობს, რომ სკოლის დირექტორობიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს“, საინფორმაციო პორტალი „netgazeti.ge“, 2024 წლის 5 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/740395/, განახლებულია: 17.09.2024.

- **საჯარო სკოლის დირექტორის გათავისუფლების საქმე**

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა საჯარო სკოლის დირექტორის გათავისუფლების კიდევ ერთი შემთხვევა. იგი საიასთან ანონიმურად დარჩენას ამჯობინებს.[198] პირი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სკოლას, დირექტორობის კონკურსის ფარგლებში, 2024 წელს ჩააბარა გამოცდა, თუმცა გასაუბრების ეტაპი ვერ გადალახა. სკოლის სამეურვეო საბჭოს წარედგინა სხვა კანდიდატი, რომელმაც საკმარისი ხმები ვერ მოაგროვა. მისი თქმით, ამის შემდეგ, აგვისტოში, მინისტრმა გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება და ახალი დირექტორი დანიშნა. შესაბამისად, ძველს უფლებამოსილება შეუწყდა.

აღსანიშნავია, რომ სკოლის ყოფილი დირექტორი ბოლო პერიოდში, ე.წ. რუსულ კანონთან დაკავშირებული მოვლენების დროს ხელისუფლების მიმართ კრიტიკით გამოირჩეოდა. თანამდებობიდან გათავისუფლებას ის სწორედ ამ პროცესებს უკავშირებს.

საიას მოსაზრებით, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, სკოლის დირექტორების მოვალეობის შემსრულებლებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, შესაძლოა, ქმნიდეს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ეჭვებს, მით უფრო მაშინ, როდესაც გათავისუფლებული პირები გამოირჩეოდნენ მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით ან წარმოადგენდნენ ოპოზიციურ პარტიებს.

[198] შესაბამისად, ორგანიზაცია მის მონაცემებს ვერ გაასაჯაროებს.

7. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები

7.1. წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ რეკლამაში სიძულვილის ენის გამოყენება ლგბტქი+ ადამიანების მიმართ

2024 წლის 13 სექტემბერს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანია „ფორმულა“ და „ტვ პირველი“ საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის მე-5 ნაწილის დამრღვევებად ცნო[199] იმ მიზეზით, რომ მათ თავიანთ საეთერო ბადეში არ განათავსეს პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი პოლიტიკური რეკლამა.[200] „ქართული ოცნების“ საჩივრის მიხედვით, პოლიტიკური რეკლამა ტელეკომპანიებს კანონის დაცვით გადაეგზავნა.

პარტიის საჩივრის მიხედვით, მათ კომუნიკაციების კომისიისგან საკითხის შესწავლა და ტელეკომპანიებისთვის რეკლამის გაშვების დავალდებულება მოითხოვეს.[201]

„ფორმულას“ პოზიციით, კანონმდებლობასთან შეუსაბამოა რეკლამის ის ნაწილი, რომელშიც პირთა კონკრეტული ჯგუფის მიმართ გამოყენებულია ფრაზა, რომ ისინი ეწევიან საზოგადოების მორალურ გადაგვარებას. ამასთანავე, ვიდეორგოლში ჩანს იმ პირთა გამოსახულებები, რომლებიც არ არიან საარჩევნო სუბიექტები.[202] ტელეკომპანიამ მიიჩნია, რომ სადავო რეკლამით ხდება მასში ნაჩვენები პირების მიმართ სიძულვილის ან ძალადობის წაქეზება მათი შეხედულებების გამო.[203] გარდა ამისა, „ფორმულას“ განმარტებით, დაირღვა „რეკლამის შესახებ“ კანონის ცალკეული დებულებებიც,[204] რადგან ვიდეორგოლში გამოსახულ პირთაგან, სულ მცირე, ერთი მათგანის, ეკა გიგაურის თანხმობა არ არსებობდა რეკლამაში მისი სურათის გამოყენების თაობაზე.[205]

---

[199] კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 13 სექტემბრის №გ-24-04/1991 გადაწყვეტილება.
[200] იქვე.
[201] იქვე.
[202] ტელეკომპანია ფორმულას 2024 წლის 9 სექტემბრის წერილი №552.
[203] იქვე.
[204] საუბარია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტებზე.
[205] ტელეკომპანია „ფორმულას“ 2024 წლის 9 სექტემბრის წერილი №552.

ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლის მიერ სხდომაზე გაკეთებული განცხადება, რომ „ქართული ოცნების“ რეკლამა არ შეიცავს სიძულვილის ან ძალადობის წაქეზებას ან მოწოდებას ძალადობისკენ.[206] კომისიის განმარტებით, მაუწყებელს არ ჰქონდა უფლება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვიდეორგოლი შეეფასებინა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან მიმართებით. სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „რეკლამის შესახებ“ კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება პოლიტიკურ რეკლამაზე.[207] ამასთანავე, ის ყურადღებას ამახვილებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ დებულებაზე და მასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, კანონი უპირობოდ არ გამორიცხავს მაუწყებლის წინდახედულობას ეთერში განათავსოს ნებისმიერი შინაარსის პოლიტიკური რეკლამა.[208] გადაწყვეტილებაში მოხმობილი საკასაციო სასამართლოს სტანდარტით, საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს ზოგად პრინციპებს, რომლებიც კანონმდებლობით არის დადგენილი და სწორედ მათით უნდა იხელმძღვანელოს ტელევიზიამ რეკლამის შეფასებისას.[209] საქალაქო სასამართლოს მაგალითად მოჰყავს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს

[206] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4/6951-24, პარა. 3.1.
[207] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4/6951-24, პარა. 6.4. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი.
[208] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4/6951-24, პარა. 6.4.
[209] იქვე.

კანონის VI თავი.[210] ამ თავში არსებული ერთ-ერთი ნორმის მიხედვით, იკრძალება ისეთი რეკლამის გაშვება, რომელიც შეიცავს სიძულვილის ენას.[211] ნორმაში საუბარია ძალადობაზე და ჩამოთვლილია ის ნიშნები, რომლებსაც აკრძალვა ეხება.[212] მათ შორისაა გენდერის, გენდერული მიკუთვნების და სექსუალური ორიენტაციის ნიშნები. აღსანიშნავია, რომ ამ ნორმაზე „ფორმულას" წარმომადგენლებიც მიუთითებდნენ. ამის მიუხედავად, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ვიდეოს ვიზუალური, გრაფიკული და ხმოვანი ნაწილი ერთობლიობაში არ შეაფასა.

მართალია, ცალკე აღებული ფრაზა „უთხარი არა საზოგადოების მორალურ გადაგვარებას და აირჩიე ტრადიციული ფასეულობები" შეიძლება არ განაპირობებდეს სიძულვილის გაღვივებას, თუმცა, აუცილებელია რეკლამის მთლიან კონტექსტში შეფასება. იმ დროს, როდესაც ეკრანზე გამოდის ფრაზა „არა მორალურ გადაგვარებას" და ისმის ამ ფრაზის აუდიო ვერსია, ეკრანზე ჩანს 3 ლგბტქი+ აქტივისტის ფოტო, მოგვიანებით კი, ფრაზაზე „აირჩიე ტრადიციული ღირებულებები" ეკრანზე ჩნდება ქალის, ბავშვების, კაცისა და ძაღლის გრაფიკული გამოსახულება, რაც „ტრადიციული" ოჯახის აღქმას ქმნის. შესაბამისად, უნდა შეფასდეს რეკლამის ამ ნაწილის კონტექსტი. ერთობლიობაში, ეს ვიზუალური გამოხატულებები - ერთი მხრივ, თამარ ჯაყელის („თბილისი პრაიდის" ხელმძღვანელი), ანა სუბელიანის („თბილისი პრაიდის" თანამშრომელი) და გიორგი თაბაგარის (ლგბტქი+ აქტივისტი) ფოტოები და წარწერა, რომ ისინი ახდენენ მორალურ გადაგვარებას და, მეორე მხრივ, ტრადიციული ოჯახის გრაფიკული გამოსახვა და ამ სურათების გვერდი-გვერდ წარმოჩენა - აღვივებს სიძულვილს სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით. სასამართლომ არ შეაფასა რეკლამის ვიზუალური მხარე და მხოლოდ ფრაზაზე გააკეთა აქცენტი.

სიძულვილის ენას ყოველთვის პირდაპირი განცხადებების ფორმა არ აქვს. მისი ამოცნობა ზოგჯერ უფრო რთული, თუმცა თანაბრად დამაზიანებელია.[213] სიძულვილის ენა არ არსებობს ვაკუუმში და იგი, როგორც წესი, არსებული სისტემური უთანასწორობის სიმპტომია.[214] შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებული კონტექსტის შეფასება.

აღსანიშნავია, რომ თავად კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, იმისთვის, რომ გამოხატვა სიძულვილის ენის შემცველად იყოს მიჩნეული, აუცილებელია, იგი აქეზებდეს ძალადობას ან სიძულვილს ცალკეული პირებისა ან

---

[210] იქვე.

[211] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, 55^2-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[212] იქვე.

[213] Council of Europe, Combating Hate Speechin the Media in the Republic of Moldova Guide for Assesing and Processing Hate Speech Cases, 2022, 18, Available at: https://rm.coe.int/guide-combating-hate-speech-in-the-media-in-moldova-coe-9-/1680a9303d.

[214] OHCHR, Hate speech and incitement to hatred in the electoral context, 3, available at: https://www.ohchr.org/sites/default/files/2024-05/information-note-hate-speech-incient-hatred-in-electoral-context.pdf.

პირთა ჯგუფის მიმართ.[215] ამ თვალსაზრისით, გამოხატვის სიძულვილის ენად კვალიფიკაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს, რაც გულისხმობს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს, რა საკითხს ეხება პროგრამა/რეკლამა, რამდენად არის საკითხი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი, სენსიტიური, კონტრავერსიული, განეკუთვნება თუ არა იგი საჯარო ინტერესის საგანს, როდის და რა ვითარებაში გავრცელდა და ა.შ.[216] ასევე, მხედველობაში უნდა მივიღოთ სპიკერის პოზიცია და სტატუსი საზოგადოებაში, განსაკუთრებით, პირის ან ორგანიზაციის პოზიციონირება იმ აუდიტორიის კონტექსტში, რომელსაც გამოხატვა მიემართება[217] და გავრცელების არეალი.[218]

ამ მხრივ, ნიშანდობლივია, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ ლგბტქი+ თემის მიმართ სიძულვილის წამახალისებელი რიტორიკა და ქმედებები, ისევე, როგორც ამ უარყოფითი განწყობების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, არახალია. ამაზე მეტყველებს 2024 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მესამე მოსმენით მიღებული „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და მასთან დაკავშირებული ცვლილებების პაკეტი, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, იწვევს ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას.[219] მმართველ გუნდს ასევე ინიციირებული აქვს მსგავსი შინაარსის საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი.[220] აღსანიშნავია, რომ ამ კანონპროექტების და რუსული კანონის ირგვლივ საჯარო დისკუსიაში მმართველი გუნდი აქტიურად იყენებდა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილის შემცველ ნარატივებს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ.[221]

---

[215] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „მაუწყებლობის შესახებ» საქართველოს კანონის 552-ე მუხლისა და 561-ე მუხლის მე-3 პუნქტის აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპები, კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2024, 12, ხელმისაწვდომია: https://comcom.ge/ge/regulation/mediamomsaxureba/broadcasting/broadcasting-sakonsultacio-dokumentebi-da-sxva-masalebi/mediashi-sidzulvilis-enis-terorizmisken-mowodebisa-da-uxamsobis-regulirebis-shesaxeb-saxelmdzgvanelo.page, განახლებულია: 17.10.2024.

[216] იქვე, 13-14.

[217] იქვე.

[218] იქვე.

[219] „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დისკრიმინაციულ, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო ცვლილებებს ეხმაურება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024 წლის 20 სექტემბერი, ხელმისაწვდომია:
https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-diskriminaciul-adamianis-uflebebis-da-demokratiis-tsinaaghmdeg-mimartul-sakanonmdeblo-cvlilebebs-ekhmaureba#sthash.SPscjAJ3.dpbs, განახლებულია: 10.10.2024.

[220] იქვე.

[221] „ლგბტ-პროპაგანდისა და NGO-ების შესახებ კანონების ინიციირებისთვის იდეალური დროა შერჩეული - ივანიშვილი“, BMG, 2024 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bm.ge/news/lgbt-propagandisa-da-ngo-ebis-shesakheb-kanonebis-initsiirebistvis-idealuri-droa-shercheuli-

საიას შეფასებით, პრობლემურია როგორც სასამართლოს უმოქმედობა, ისე ფაქტის არასწორი კვალიფიკაცია. წარდგენილი რეკლამის აუდიოვიზუალური ანალიზით იკვეთება, რომ რეკლამაში გამოყენებულია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით მოტივირებული სიძულვილის ენა აქტივისტების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მისამართით, ამასთანავე, წაქეზებულია სიძულვილი ლგბტქი+ ადამიანების მიმართ. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია კონტექსტს, რომლის ფონზეც ეს რეკლამა გავიდა ეთერში. მაშინ, როდესაც მიმდინარე წლის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანოში განიხილებოდა ანტი-ლგბტქი+ კანონმდებლობა, ასევე, განხილვის პროცესშია კონსტიტუციური კანონი იმავე საკითხზე, ხოლო ამ თემის წევრებისთვის უფლებების შეზღუდვა, ფაქტობრივად, წინასაარჩევნო დაპირებად არის გამოცხადებული,[222] სასამართლომ საქმე ამ მოვლენებისგან იზოლირებულად განიხილა და, საიას შეფასებით, არასწორ დასკვნამდე მივიდა. შესაბამისად, ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაწყვეტილება იყო კანონთან შესაბამისი.

7.2. საარჩევნო რეკლამის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება

2024 წლის 13 სექტემბერს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 4 ტელეკომპანია - საზოგადოებრივი მაუწყებელი, „მთავარი არხი”, „ტელეკომპანია პირველი” და „ფორმულა” - სამართალდამრღვევებად ცნო საარჩევნო კოდექსის კონკრეტულ დებულებასთან მიმართებით.[223] საუბარია იმ ნორმის დარღვევაზე, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო რგოლის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სა-

---

ivanishvili, განახლებულია 10.10.2024; „პრემიერი - როცა საზოგადოებას ეცოდინება, ვინ აფინანსებს ამა თუ იმ ორგანიზაციას, შესაბამის ორგანიზაციას გაუჭირდება, ჩაერთოს ისეთ აქტივობებში, როგორიცაა - რევოლუციური პროცესები, არეულობის შემოტანა ქვეყანაში, ლგბტ პროპაგანდა, მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმა, ნარკოტიკების პროპაგანდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/798866-premieri-roca-sazogadoebas-ecodineba-vin-apinansebs-ama-tu-im-organizacias-shesabamis-organizacias-gauchirdeba-chaertos-iset-aktivobebshi-rogoricaa-revoluciuri-procesebi-areulobis-shemotana-kveqanashi-lgbt-propaganda-martlmadidebel-eklesiaze-tavdasxma-narkotikebis-propaganda/, განახლებულია: 10.10.2024.

[222] „ისიც კი არ გაგვიგია, რომ ერთი გეიწყვილი ყოფილიყოს“ - რას ჰპირდებიან და რა უნდათ კასპელებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%a1-%e1%83%b0%e1%83%9e%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%93%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%90%e1%83%9c-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%a0%e1%83%90-%e1%83%a3%e1%83%9c%e1%83%93%e1%83%90%e1%83%97-%e1%83%99%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%9e%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a1/33126680.html, განახლებულია: 08.10.24.

[223] კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 13 სექტემბრის №გ-24-04/1989 გადაწყვეტილება.

აგიტაციო მიზნებს ემსახურება.[224] როგორც კომისიის გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, პოლიტიკურმა პარტიებმა „ევროპულმა საქართველომ“, „კი ევროპას“ და „მოქალაქეებმა“ ამ ტელეარხებზე განათავსეს უფასო წინასაარჩევნო რეკლამები, რომლებიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურებოდა.[225]

2024 წლის 13 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წარადგინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და მასალები „ფორმულას“ მიმართ საარჩევნო კოდექსის შესაბამისი ნორმის სავარაუდო დარღვევის თაობაზე.[226] სასამართლომ კომისიის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. მისი მსჯელობით, საქმეზე წარმოდგენილი იყო ვიდეოჩანაწერები, რომლებშიც ასახულია მოქალაქეთა პოლიტიკური ჯგუფების საჯარო განცხადებები, რომ 2024 წლის არჩევნებზე ისინი სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთიანდებოდნენ.[227] სასამართლომ განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც „ევროპულ საქართველოს“, „კი ევროპას“ და „მოქალაქეებს“ საჯაროდ ჰქონდათ განცხადებული სხვა პარტიებთან გაერთიანება, მათ მიერ განთავსებული რეკლამა ამ პარტიების ხელშემწყობი იყო, რითაც დაირღვა 186-ე მუხლის მე-18 ნაწილი.[228] სასამართლოს ეს შეფასება ემყარება არა უტყუარ ფაქტებს, არამედ მხოლოდ გარკვეულ ზეპირ განცხადებებს, რომლებიც ამ პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ გაკეთებული იმ პერიოდისთვის, როცა რეკლამები ეთერში გადიოდა. ისინი ოფიციალურად არ იყვნენ გაერთიანებულნი, ერთ შემთხვევაში - „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობასთან“, ხოლო მეორე შემთხვევაში - კოალიციასთან „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“. შესაბამისად, სასამართლომ თავისი პოზიცია დააფუძნა სამომავლო ჰიპოთეზურ შემთხვევას. ამასთანავე, „ფორმულას“ პოზიციით, დასახელებულ სუბიექტებს 2024 წლის 26 სექტემბრამდე ჰქონდათ დრო, გადაწყვეტილება მიეღოთ ერთიანი პარტიული სიების წარდგენასთან დაკავშირებით.[229] აქედან გამომდინარე, წინასაარჩევნო რეკლამების განთავსების დროს ისინი ოფიციალურად არ შედიოდნენ ხსენებულ კოალიციებში. გარდა ამისა, ტელეკომპანიის მტკიცებით, ის ხელმძღვანელობდა ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული საარჩევნო სუბიექტების ჩამონათვალით.[230] ამრიგად, იგი ჰიპოთეზურ მოცე-

[224] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის მე-18 ნაწილი.

[225] საუბარია კოალიციებზე: „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობა“ და „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის.“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 13 სექტემბრის №g-24-04/1989 გადაწყვეტილება.

[226] თბილისის საქალაქო სასამართლოს №4/6953-24 დადგენილება, პარა. 1.

[227] „ევროპული საქართველოს“ და „კი ევროპას“ განცხადებები, რომელთა მიხედვითაც, ისინი ერთიანდებიან „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობასთან“, ხოლო „მოქალაქეები“ - კოალიციასთან „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“. თბილისის საქალაქო სასამართლოს N4/6953-24 დადგენილება, პარა. 6.21.

[228] თბილისის საქალაქო სასამართლოს № 4/6953-24 დადგენილება, პარა. 6.22.

[229] იქვე, პარა. 4.1.

[230] იქვე.

მულობასა და სამომავლო ალბათობებზე დაყრდნობით ვერ იმოქმედებდა. საყურადღებოა კიდევ ერთი დეტალი. ზემოთ დასახელებული პოლიტიკური პარტიების მიერ გავრცელებული საარჩევნო რეკლამების შინაარსი და ვიზუალი ცალსახად მიუთითებს, რომ თითოეულ შემთხვევაში რეკლამა მიემართება უშუალოდ „ევროპულ საქართველოს“, „კი ევროპას“ და „მოქალაქეებს“.[231] ვიდეორგოლებში ჩანს ამ სუბიექტების ნომრები, სახელები და არის წერილობითი მოწოდება, რომ ამომრჩეველმა მათ მისცეს ხმა. შესაბამისად, ამ რეკლამებში ნახსენები არ არის სხვა პოლიტიკური გაერთიანება თუ პარტია, რომლის სასარგებლოდაც მოქალაქემ არჩევანი უნდა გააკეთოს.[232] **აქედან გამომდინარე, საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის მე-18 ნაწილი არ დარღვეულა.**

[231] ტელეკომპანია „ფორმულა“, ხელმისაწვდომია: https://www.myvideo.ge/tv/formula/2024-09-09/16:07:00, განახლებულია: 23.09.24.
[232] იქვე.

8. მონიტორინგის პროცესში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

2024 წლის 27 აგვისტოდან 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში საიამ სხვადასხვა საკითხზე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ წერილით საჯარო უწყებებს 10-ჯერ მიმართა. აქედან, ორგანიზაციამ პასუხი მხოლოდ 6 შემთხვევაში მიიღო. მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს: შინაგან საქმეთა სამინისტრომ; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის საჯარო სკოლამ. ზოგ შემთხვევაში, საჯარო უწყებების მიერ პასუხის გამოგზავნისას დარღვეულია პრაქტიკით დადგენილი ვადა - 10 კალენდარული დღე.

გრძელვადიანი საარჩევნო მისიის ფარგლებში, საიამ სხვადასხვა საჯარო უწყებიდან ინფორმაცია, ჯამში, 148-ჯერ გამოითხოვა. აქედან, ორგანიზაციას პასუხი არ გამოუგზავნეს 43 შემთხვევაში, ხოლო 23 წერილზე მიღებული პასუხები იყო არასრულყოფილი.



მიღებული პასუხების ზოგადი ანალიზის შედეგად, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა:

- შემთხვევები, როდესაც საჯარო უწყებებს არანაირი პასუხი არ გაუციათ;
- უწყებები ვადის დაცვით აგზავნიან საპასუხო წერილს, რომელშიც 10-დღიანი ვადის გამოყენების საჭიროებაზე მიუთითებენ, თუმცა ამ ვადის გასვლის შემდეგ ორგანიზაციას მოთხოვნილ ინფორმაციას არ აწვდიან;

- პასუხები არ არის სრულყოფილი და ვერ იძლევა დასმულ კითხვაზე ამომწურავ ინფორმაციას;
- ზოგიერთი ორგანო, მათ შორის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია საპასუხო წერილში აღნიშნავს, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნესა ან სხვა ოფიციალურ ვებგვერდზე, ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, არ არის მითითებული სათანადო ბმული, რაც, არსებითად, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევაა, მით უფრო მაშინ, როდესაც წერილით მოთხოვნილი და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ფორმითა და შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავებულია.

საბოლოო ჯამში, ამგვარი მიდგომა ზღუდავს დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებას და ხელს უშლის გრძელვადიანი მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელებას.

საია მოუწოდებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის დროული და სრულყოფილი მიწოდება საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის, რათა მათ ჯეროვნად განახორციელონ საარჩევნო გარემოს მონიტორინგი.